# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 23 დეკემბერი, 2015 წელი.

№241 (7886)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ვებ გვერდი: www.sakresp.ge | ფასი 50 თეთრი.



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



# ირინა ენუქიძე – ჰუმანურობისა და ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სიმბოლო

**პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა სანდრო გირგვლიანის დედა ირინა ენუქიძე სიკვდილის შემდეგ თამარ მეფის ორდენით დააჯილდოვა.**

პრეზიდენტმა დაჯილდოების ცერემონიაზე ირინა ენუქიძის ღვაწლზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ირინა ენუქიძე გახდა სიმბოლო ბრძოლის, რომელსაც ჰუმანურობისთვის, ადამიანის უფლებისთვის, სიცოცხლის უფლებისთვის, ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა ერქვა.

**„თქვენთვის ცნობილია, რომ 2015 წელი მე ქალთა წლად გამოვაცხადე. ამ წლის შეჯამებისას და დასრულებისას მე გადავწყვიტე, რომ რამდენიმე ქალბატონი გამოვყო, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით ჩვენი ქვეყნის და საზოგადოების მიმართ. განსაკუთრებული ადამიანების გამორჩევა მე ქალბატონი ირინა ენუქიძით დავიწყე.**

**ქალბატონი ირინა გახდა სიმბოლო იმ ბრძოლისა, რომელსაც ერქვა ჰუმანურობისთვის, ადამიანის უფლებისთვის, სიცოცხლის უფლებისთვის, ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა. მე გთხოვეთ აქ მობრძანება, რადგან ის პირველი და მცირე ჯგუფი, რომელსაც მერე მთელი საზოგადოება შეუერთდა, აქ არის წარმოდგენილი. ის ადამიანები, რომლებიც პირველივე დღეებიდან ქალბატონი ირინას გვერდით იდგნენ. ეს იყო უაღრესად მორალური ბრძოლა, რომელიც ქალბატონმა ირინამ თვითონ განსაზღვრა თავის სიტყვებით“,** — განაცხადა მარგველაშვილმა.

ამასთან, პრეზიდენტის თქმით, ირინა ენუქიძე იბრძოდა სხვების შვილების გადასარჩენად და სწორედ ამ ბრძოლას შესწირა თავი.

„მე მინდა, პირველ რიგში, გითხრათ მადლობა თქვენ, ჟურნალისტებს, პოლიტიკოსებს, მოქალაქეებს, სანდროს მეგობრებს, ოჯახს, რომლებიც, ძალიან რთულ ვითარებაში მცირერიცხოვანი ადამიანები დაუპირისპირდნენ სისტემას და ამ დაპირისპირებამ მორალური ძალით რეალურად სისტემის გადატეხვამდე მიგვიყვანეს. ჯილდო ირინა ენუქიძის მეუღლეს გურამ გირგვლიანს გადაეცა.

## ჯუმბერ კირვალიძე: ვემიჯნები ვიზალიბერალიზაციის გაბუქებას და კუდაბზიკურ პოლიტიკურ განცხადებებს!

③

## „ჩერგოს“ აზრი სულ გოკაზე მკიდია!..

გიორგი ვაშაძის გუნდი გაბაშვილს, ბაქრაძესა და მაჭავარიანს უპირისპირდება

②

## ერთი გვერდი რეკომენდაცია – 173 ათას ევროდ

ჯანდაცვის რეფორმის ავანტიურისტი მამები

⑤

## მაიზერ გელოვანი: თბილისის ომის შემდეგ ქართველებს ასე „კარგად“ არც ერთ ომში არ უომიათ

④

# წმინდა სინოდის სხდომაზე რამდენიმე პირი წმინდანად შერაცხეს



**გუშინ საპატრიარქოში წმინდა სინოდის სხდომა ჩატარდა. ჟურნალისტებთან წმინდა სინოდის სხდომის საკითხებზე კომენტარი წილკნის მიტროპოლიტმა ზოსიმემ გააკეთა.**

მეუფის განცხადებით, წმინდა სინოდის სხდომაზე მართლმადიდებელმა ეკლესიამ რამდენიმე პირი წმინდანად შერაცხა.

**„დედა წმინდა სიდონიასი (სიდონიამ უფლის კვართი გულში ჩაიკრა და სვეტიცხოველში განისვენებს) სინოდის სხდომამ წმინდანად შერაცხა, ილია მართლის ხსენება ორჯერ განაწესა. ასევე კიდევ ერთი ახალი წმინდანი შერაცხეს“,** — განაცხადა მეუფემ.

მიტროპოლიტ ზოსიმეს თქმით, წმინდა სინოდის სხდომაზე განიხილეს განათლებასთან დაკავშირებული საკითხები, კერძოდ, მეუფე სპირიდონის ყოფილ ეპარქიაში.

**— გადაიხედება ეს საკითხები და თანხების გადანაწილება მოხდება,** — აღნიშნა მეუფემ. მისივე თქმით, ეპარქიებში მეუფეების გადანაცვლებასთან დაკავშირებით ცვლილებები არ იქნება.

**6 თვე – 60 ლარი**

**გამოიწერე 2016 წლის პირველი ნახევრის 120 ნომერი**

მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია – 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ – 2143906; „ელვასერვისი“ – 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ – 2 988 990; „პრესა-2012“ – 2341140; „ოლიმპი“ – 599 15 19 69; „პრესა+“ – 551555444; „ჯეომედია“ – 593 977 888.

ჩვენი მისამართია ქ. თბილისი, ი. მაჩაბლის 7.

ხელმოწერის ინდექსი 66434

ჟირი დანახული ჯოზს

# არა მგონია, ასეთმა რექტორმა ცხოვრების სწორ გზაზე შეაყენოს გამოუცდელი ახალგაზრდობა...

ყველა წიგნიერ ქართველს სიტყვა რექტორის ხსენებაზე შეუძლებელია, რომ ეგრევე თვალვწინ არ დაუდგეს დიდი ივანე ჯავახიშვილი, ნიკო კეცხოველი, ილია ვეკუა, ევგენი ხარაძე... და უცებ „მაესტროს" ეკრანზე ვხედავ ნაციონალთაგან ორი ძველი ინსტიტუტის „კვერცხიდან გამოჩეკილი" დიდი ილია ჭავჭავაძის მხოლოდ სახელით შემკული ახალი უნივერსიტეტის, როგორც ჩანს, უზრუნველი ცხოვრებისგან კარგა გვარიანად გაყვინიზებულ-ჩაპუტკუნებულ ახალგაზრდა, მაგრამ სულ ერთიანად გამელოტებულ (ჭკვიანი თავი თმას ვერ იტანსო!) რექტორს, ფილოსოფოსს, პროფესორს, რა ვიცი, თუკი რამ ქვეყნად ხარისხია, ყველაფრის ერთად მფლობელს იმანო **გიგა ზედანიას**, რომელიც მთელი ერთი საათი უშვერად ლანძღვას ვერ ვიტყვი, მაგრამ დროისაგან, კერძოდ, ოცდამეერთე საუკუნისაგან ჩამორჩენილობის უანალიზო, ულოგიკო ადლით ზომავდა თანამედროვე ქართველ საზოგადოებას. ამ საბედისწერო ჩამორჩენილობის მთავარ მიზეზს ქართული ეთნოსისგან ზოგიერთი დიდად ხმაგანსმენილი თავისი თანამედროვე პოლიტიკური მოღვაწის განდიდებაში ხედავდა. ჩვენი საზოგადოება შუა საუკუნეების ბნელეთიდან ჯერაც ვერ გამოსულაო...

ჩვენი საზოგადოებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს გაფულფულებული, უზრუნველი ცხოვრებისგან გაპუტკუცუნებული რექტორი მართლაც შუა საუკუნეებშია ჩარჩენილი და იქიდან გველაპარაკება ფართო მსმენელი-მაყურებლებისთვის ნახევრად გაუგებარი, ვითომ ფილოსოფიური ტერმინოლოგია-კატეგორიებით...



ეს პატარა რეპლიკა თუ წკეპლიკა კი ცხელ გულზე იმან დამაწერინა, რომ, თუ აბიტურიენტი კონკურსის წესით მოწმდება უმაღლეს სასწავლებელში შესვლისას, რატომ ეგრეთ წოდებული პოლიტიკური მიკუთვნებულობის ნიშნით გაპროფესორებული მავანი და მავანი კიდევ უფრო მეტი სიმკაცრით არ უნდა გადიოდეს კონკურსს ამა თუ იმ უმაღლესი სასწავლებლის გარექტორებისას?!

ამ ჩვენს ამღვრეულ დროებაში ნუთუ სულერთია, რა დონის ფილოსოფოსნი (უფრო სწორად, ვაიფილოსოფოსნი!) მოძღვრავენ ჩვენს, ცოტა არ იყოს, ისედაც გზააბნეულ ახალგაზრდობას?!

**გურამ წიკლაური**

**P. S. თუკი ვისმე რამდენამდე ბუნდოვნად მოეჩვენება ეს ჩემი რეპლიკა თუ წკეპლიკა, ღვთის წყალობით, ტექნიკა გვაძლევს იმის საშუალებას, რომ გარკვეული დროით „დავბრუნდეთ წარსულში", ანუ „გადავახვიოთ" ჩვენი ტელევიზორი და „კვირის ფაქტორში" უშუალოდ, თუნდაც ჩემს გასამტყუნებლად, მოვუსმინოთ ამ ზემოხსენებულ გაპუტკუცუნებულ ნაციონალ პროფესორ გიგა ზედანიას ძალიან ბევრი თვალსაზრისით ანტიეროვნულ, ნაციონალური პოლიტიკით გაჯერებულ ანტიფილოსოფიას...**

**გ.წ.**

# „ჩერგოს" აზრი სულ გოკაზე მკიდია!..

## გიორგი ვაშაძის გუნდი გაბაშვილს, ბაქრაძესა და მაჭავარიანს უპირისპირდება

**პარტია ნაციონალურ მოძრაობაში დაპირისპირება გრძელდება, ამჟამად ერთმანეთს გიორგი ვაშაძის გუნდის წევრი, პრეზიდენტ პოროშენკოს მრჩეველი დავით კიზირია, გოკა გაბაშვილს და თამარა ჩერგოლეიშვილს დაუპირისპირდა. საკუთარ ფეისბუქზე, სააკაშვილის გუნდის წევრი დავით კიზირია წერს:**

„მაინც რა არის პოზიტივი, ახლა ნაცვლად იმისა, რომ კომსომოლა გაბაშვილს შევარდნაძის უკანალის მლოკველ მამიკოს ვახსენებდე და ამ ლოკვისთვის მის „კაცად ქცევას" და კარიერულ წინსვლას, ვარ დაკავებული სიყვარულით, თორემ ხომ შემეძლო, მეთქვა, ლევან ხაბეიშვილსა და გოკა გაბაშვილს შორის ვინც ოდესმე კომსომოლის წევრი ყოფილა იმის კარიერისტ კაცობაზე მიმიფურთხებია-თქო.

„ჩერგოს" „კარვის ქალების" აზრიც სულ გოკაზე მკიდია, ნუ დაიხარჯებიან.

ხო, კიდევ ის ჩმორები, ახლები ახლა რომ არ მოსწონთ და პარლამენტის სპიკერები და კომიტეტის თავჯდომარეები, რომ იყვნენ და იმის კაცობა, უკანალი რომ არ ჰქონდათ და ახლა რომ არიან აღშფოთებულები, დამახტნენ გოკაზე, „მამიკოს ბიჭებისა" და სნობების ინტრიგების ამარა, რომ არის დარჩენილი ნაციონალური მოძრაობა, იმიტომაა ქოცების გნიასი.

მოკლედ, სანამ ქოცების ოპოზიცია არის დავით ბაქრაძე და გოკა გაბაშვილი ან გიგა ბოკერია, მიშა მაჭავარიანთან ერთად ბიძინას ავტორიტარიზმი გარანტირებულია, რადგან ამ კაბინეტის პოლიტიკოსებს 20 კაცის მიტინგზე გამოყვანის პოტენციალი არა აქვთ".

მათთვის კომფორტული იქნება 20%-იან ოპოზიციაში ყოფნა, რადგან საქმის კეთება არც ერთმა არ იცის, მათი საქმე ყოველთვის გაპრავება იყო, რა უნდა გააკეთოს რამოდენიმემ, რა რეფორმა გაუკეთებია ან ბაქრაძეს ან მაჭავარიანს ან ბოკერიას ან გაბაშვილს? მაგარი კომიკურია: სააკაშვილის ჩრდილი როგორც მზე ეფინებათ და არსებობის საშუალებას აძლევს ამ არამზადებს და კიდევ პრეტენზიები აქვთ.

# საარსებო მინიმუმი, წინა წელთან შედარებით, 5 ლარით გაიზარდა

**2015 წლის ნოემბერში საარსებო მინიმუმი გაიზარდა და 165 ლარი და 70 თეთრი შეადგინა. საქსტატის ინფორმაციით, ნოემბერში ოქტომბერთან შედარებით, შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმი 2 ლარით გაიზარდა, ხოლო წლიურად 6 ლარით. ნოემბერში საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმმა, 146 ლარი და 80 თეთრი შეადგინა, რაც წინა თვესთან შედარებით, 2 ლარით გაზრდილი მაჩვენებელია. საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი წინა წელთან შედარებით, 5 ლარით გაიზარდა.**

საქსტატის ინფორმაციით, საქართველოში საშუალო ოჯახის საარსებო მინიმუმი 277 ლარი და 90 თეთრია.

რაც შეეხებათ ოჯახის ტიპებს, ერთსულიანი ოჯახის საარსებო მინიმუმი 146 ლარი და 80 თეთრია, ორსულიანის - 234 ლარი და 80 თეთრი, სამსულიანის - 264 ლარი და 20 თეთრი, ოთხსულიანის - 293 ლარი და 50 თეთრი, ხოლო ხუთსულიანი ოჯახის საარსებო მინიმუმად 330 ლარია მიჩნეული.X2004 წლიდან საქსტატი საარსებო მინიმუმის მაჩვენებლებს ანგარიშობს იმ მინიმალური სასურსათო კალათის მიხედვით, რომელიც განსაზღვრულია და დადგენილია "საკვებ ნივთიერებებსა და ენერგიაზე ორგანიზმის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებისა და სა-



არსებო მინიმუმის განსაზღვრისათვის საჭირო სასურსათო კალათის შემადგენლობის ნორმებისა და ნორმატივების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანების შესაბამისად.

# ყველაზე დაბალი და მაღალი ხელფასის მქონე მოქალაქეები

**საქართველოში საშუალო ხელფასი 930 ლარია. საქსტატის ინფორმაციით, 2015 წლის მესამე კვარტალში, დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო ხელფასი ყველაზე მაღალი საფინანსო სექტორშია, ყველაზე დაბალი კი განათლებაში.**

საქსტატის ინფორმაციით, საფინანსო სექტორში დასაქმებულთა საშუალო თვიური ანაზღაურება 1499 ლარს შეადგენს. საფინანსო სექტორის შემდეგ ყველაზე მაღალი ხელფასი ფიქსირდება სახელმწიფო მმართველობაში, სადაც საშუალო ანაზღაურება 1313 ლარია. 1219 ლარით განისაზღვრა ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სფეროში დასაქმებულთა ანაზღაურება. მშენებლობის სექტორში დასაქმებულთა ანაზღაურება 1412 ლარია, სამთომოპოვებით სფეროში დასაქმებულების ანაზღაურება კი თვეში საშუალოდ 1228 ლარი.

ყველაზე დაბალი ხელფასი კვლავ განათლების სექტორში ფიქსირდება და ის 470 ლარს შეადგენს. 843 ლარით განისაზღვრა ჯანდაცვის სფეროს მუშაკთა საშუალო ანაზღაურება. სასტუმროებისა და რესტორნების ქსელში დასაქმებულების ანაზღაურება საშუალოდ 613 ლარია.

საშუალოდ 592 ლარის ანაზღაურებას იღებენ სოფლის მეურნეობის სფეროში დაქირავებით დასაქმებული პირები, შედარებით ნაკლებია ანაზღაურება მეთევზეობის სფეროში და ის 478 ლარს შეადგენს. რაც შეეხება დამამუშავებელი მრეწველობის სფეროს, — საშუალო თვიური ანაზღაურება სექტორში 825 ლარია.

კონფლიქტი

# მხოლოდ წყლის შესხმას არ დაგაჯერებენ, მიშაჯან!

## უკრაინის შინაგან საქმეთა მინისტრი და პრემიერ-მინისტრი სააკაშვილს ცილისწამებისთვის სასამართლოში უჩივიან



**როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, უკრაინის პრემიერ-მინისტრის გარდა, ოდესის გუბერნატორ მიხეილ სააკაშვილს შინაგან საქმეთა მინისტრიც ღიად უპირისპირდება — უკრაინის მთავრობის საბჭოზე მომხდარი ინციდენტის ამსახველი ვიდეო, სადაც არსენ ავაქოვი საქართველოს ექსპრეზიდენტს ჭიქას ესვრის, უკრაინელი და ქართველი საზოგადოების აქტიური განხილვის საგანი გახდა.**

არსენ ავაკოვი მიხეილ სააკაშვილისთვის ცრუ ბრალდების გამო სასამართლოში უჩივლებს და აცხადებს, რომ უკრაინის პრემიერიც ანალოგიურის გაკეთებას აპირებს.

**„ვწუხვარ, რომ საზოგადოებას ამ ვიდეოს ყურებამ მოუწია. ემოციებს ავყევი, მაგრამ ყალბი ადამიანი არა ვარ - თუ ვიღაც შეურაცხყოფას მაყენებს, პასუხს მაშინვე ვცემ.**

**სააკაშვილს ასეთი მეთოდი აქვს — ვინც შეეხება, ყველა ქურდად უნდა გამოაცხადოს. ავიწყდება, რომ კორუფციაზე ბრალდების გაჟღერებას მტკიცებულებები სჭირდება. ის კარგად მალავს ფაქტებს და რეალური სახის შენიღბვასაც ახერხებს. სააკაშვილმა ოდესის პროკურატურაში თავისი გუნდის წევრი საყვარელიძე დანიშნა, პოლიციასაც მისი თანაგუნდელი ლორთქიფანიძე ხელმძღვანელობს, მაგრამ რომელი კორუფციონერი დაიჭირეს ოდესაში? სააკაშვილის სიტყვასა და საქმეს შორის დიდი განსხვავებაა",** — განაცხადა არსენ ავაკოვმა.

ავაკოვი ექსპრეზიდენტს რუსულ კომპანიებთან თანამშრომლობაში ადანაშაულებს.

**„სააკაშვილს პირადად შევხვდი და მშვიდად ვუთხარი: ბატონო მიხეილ, მომიტანეს ქაღალდები, სადაც რუსულ კომპანიასთან თქვენი კავშირები იკვეთება, გადაღებულია შეხვედრებიც-მეთქი, მაგრამ წინადადების დასრულების შესაძლებლობა არ მომცა. სააკაშვილი დამნაშავეა თუ არა, ამაზე საუბარი ჩემს კომპეტენციას სცილდება — ეს გამოძიებამ უნდა დაადგინოს. მის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შემაქვს და იაცენიუკიც ანალოგიურად მოიქცევა. სააკაშვილს მოუწევს დამტკიცება, რომ ქურდი ვარ. ხელისუფლებაში მსგავსი დაპირისპირება სახელმწიფოს ვნებს, მაგრამ პოპულიზმი, რის უფლებასაც სააკაშვილი საკუთარ თავს აძლევს, ბევრად სახიფათოა",** — განაცხადა არსენ ავაკოვმა.

◉ ცაში ქუდების სროლა ნაადრევია!

# ჯუმბერ კირვალიძე: ვემიჯნები ვიზალიბერალიზაციის გაბუქებას და კუდაბზიკურ პოლიტიკურ განცხადებებს!



**ვიზალიბერალიზაციის დადებით და უარყოფით მხარეებზე და რუსეთის პრეზიდენტის განცხადებაზე დღეს პოლიტოლოგი ჯუმბერ კირვალიძე გვესაუბრება.**

**— ბატონო ჯუმბერ, ვიზალიბერალიზაციის თემამ ბოლო დღეების მედიასივრცე მთლიანად დაიპყრო. ზოგი ამ გადაწყვეტილებაში, საქართველოს ხელისუფლების გამარჯვებას ხედავს, ზოგს ქართველების საქართველოდან გაქცევის წინაპირობად ესახება.**

**მაინც რა არის ვიზალიბერალიზაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები და რა გავლენას მოახდენს იგი ზოგადად საქართველოს მომავალზე?**

— ქართველებს ზომიერების გრძნობა ყველაფერში გვღალატობს, ვიზალიბერალიზაცია დადებითი პროცესია და მნიშვნელოვანია იმით, რომ ამხელა, ევროპული სივრცის ქვეყნები გვაძლევენ ნებართვას, რომ შენი მოქალაქეები უვიზოდ შევიდნენ, ცხადია, ეს მისასალმებელია და ძალიან კარგია ჩვენი ქვეყნისთვის. მითუმეტეს, ყველა მიილტვის ევროპისკენ, იქ არსებული კეთილდღეობისკენ...

ის, რომ ზოგიერთები ამბობენ — არიქა, ქვეყანა დაიცლება და ა.შ. — მსგავსი პანიკა უსაფუძვლოა. რა არის ცუდი იმაში, რომ ვიღაცამ იქ აიმაღლოს კვალიფიკაცია, შემდეგ ჩამოვიდეს და ქვეყანას წაადგეს. ხოლო, როდესაც ეკონომიკური თვალსაზრისით ამბობენ ქვეყნის დაცარიელებაზე, ასეთ დროს გასათვალისწინებელია, რომ ეს არ ნიშნავს სამუშაო ვიზას.

მეორეს მხრივ, ხელისუფლების, თუ სხვების მხრიდან ისეთ ალტაცებულ განცხადებებს, რომ — ეს უდიდესი გამარჯვებაა, მინდა ვთქვა, რომ ესაა ჩვეულებრივი, ძალიან სასიამოვნო წარმატება. ამიტომ, ამაზე ბაქიბუქის ატეხვა და ზარ-ზეიმით იმის ძახილი, თითქოს უკვე გავედით სამშვიდობოს, ჩვენმა საზოგადოებამ განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია და ხელისუფლებამ ასეთი გამარჯვება მოიპოვა, რომლითაც უნდა ვიამაყოთ — ესაა გამუქებული და კუდაბზიკური პოლიტიკური განცხადება!

**— პუტინის განცხადებამ, რომ საქართველოსთან სავიზო რეჟიმს გააუქმებს, ოპონენტების გაღიზიანება გამოიწვია. ისინი მიიჩნევენ, რომ რუსეთის პრეზიდენტმა ვიზალიბერალიზაციის დადებითი დასკვნიდან გამომდინარე, იძულებითი განცხადება გააკეთა.**

**თქვენი აზრით, რა კავშირშია ერთმანეთთან, ვიზალიბერალიზაცია და რუსეთთან სავიზო რეჟიმის გაუქმებასთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადება?**

**რამდენადაც ვიცით, ვიზალიბერალიზაცია, რუსეთისგან განსხვავებით, დასაქმების უფლებას არ იძლევა...**

— ვფიქრობ, პუტინის ეს განცხადება არანაირ კავშირში არაა ვიზალიბერალიზაციასთან. მან ადრეც გააკეთა მსგავსი განცხადებები. ჩვენმა სპეციალურმა წარმომადგენელმა ზურაბ აბაშიძემაც თქვა, რომ ამაზე საუბარი არისო.

უბრალოდ, იმ ფორმატში, რასაც აბაშიძე-კარასინის ფორმატი ჰქვია, ეს საკითხი ასე მწვავედ არ დასმულა.

**ომის შემდეგ რუსეთის მოქალაქეებისთვის ცალმხრივად გავაუქმეთ სავიზო რეჟიმი. უცნაური პარადოქსული სიტუაციაა - ქვეყანა ოკუპანტია, შენი ორი რეგიონი აქვს ოკუპირებული და ამ დროს შენ უუქმებ სავიზო რეჟიმს, რომ მისი მოქალაქეები შემოვიდნენ - ამას წინა ხელისუფლების მისამართით ვამბობ, რომელთაც იმდენი სიბრიყვე გამოიჩინეს, რომ სიტუაცია აგრესიამდე და ომამდე მიიყვანეს. მათ რომ მეტი სიფრთხილე გამოეჩინათ, ასეთი პარადოქსული მდგომარეობა არ ჩამოყალიბდებოდა, რომ თან ოკუპანტად აღიარებ და თან ვიზას უუქმებ.**

რაც შეეხება პუტინის განცხადებას, პუტინმა ეს განცხადება ყოველწლიურ პრესკონფერენციაზე გააკეთა, ეს ყველაფერი ჯერ არ მომხდარა. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში ამბობენ, რომ, სავარაუდოდ, ეს შეიძლება თებერვალში მოხდეს. კარასინი-აბაშიძის შეხვედრა თებერვალშია დაგეგმილი და, ალბათ, მაშინ გავიგებთ ზუსტ დროს და თარიღს.

მისასალმებელია ის გარემოება, რომ შენს მოქალაქეებს არ უწესებდნენ ვიზებს და ყველგან ჰქონდეთ ანთებული მწვანე შუქი. მაგრამ, არც ამ სიტუაციაშია საჭირო ცაში ქუდების სროლა და იმის თქმა, რომ ამით ყველაფერი დამთავრდა. ჩვენ ძალიან დიდი სამუშაო გვაქვს რუსეთის ფედერაციასთან...

ესაუბრა
**მარინა გრიგორაშვილი**

◉ არგუმენტი

# უკანონო მოსმენებისგან დღეს უფრო დაცული ვართ, ვიდრე ოდესმე

**გრძნობთ თუ არა თავს უსაფრთხოდ, როდესაც თქვენს მეგობარს სატელეფონო საუბრისას საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების შესახებ მოსაზრებებს უზიარებთ? — ეს კითხვა NDI -მ თავის კვლევებში შეიტანა, რომელსაც გამოკითხულთა ნახევარმა (50 პროცენტმა) უარყოფითად უპასუხა. 38 პროცენტმა კი კითხვაზე დადებითი პასუხი გასცა. 1881 ადამიანიდან რომ ნახევარი თავს დაუცველად გრძნობს, ხელისუფლებისთვის საკმაოდ დამაფიქრებელი ციფრია (თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ მთავრობა NDI-ის მიმართ ზოგადად უნდობლობას იჩენს).**



და მაინც: ჩვენ გვახსოვს მთელი რიგი აქციები, გამოსვლები, დემონსტრაციები მოსმენებთან დაკავშირებით და ისიც კარგად ვიცით, რომ წინა ხელისუფლება თითქმის ყველას და ყველაფერს უსმენდა და უთვალთვალებდა. მაგრამ მას შემდეგ დროება შეიცვალა, შეიცვალა კანონმდებლობა, ნორმები, შემოვიდა სრულიად ახალი პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის ინსტიტუტი, რომელსაც მეტ-ნაკლებად მსგავსი „გადახრები“ დღის წესრიგიდან უნდა მოეხსნა. ამიტომაც არის დამაფიქრებელი სახელმწიფოს მიმართ საზოგადოების ესოდენ უნდობლობა, რადგან საკანონმდებლო და პრაქტიკულ დონეზე, თითქმის ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ დაუცველობის განცდა საბოლოოდ დაგვემარცხებინა.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის წარმომადგენელი **დიმიტრი გუგუნავა** ამბობს, რომ გამოკითხულთა ასეთი განწყობა მისთვისაც გაუგებარია, რადგან „ორგასაღებიანი სისტემის“ შემოღებამ ეს საკითხი დღის წესრიგიდან თანდათან მოხსნა. **„მე რომ ვიცოდე წინა კვლევის შედეგი, ძალიან გამომადგებოდა ამ თემაზე კომენტირებისას, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ შემცირებულია იმათი რიცხვი, ვინც ფიქრობს, რომ მისი ტელეფონი ისმინება. ჩვენ თუ რამე გაგვიკეთებია ამ ბოლო წლების განმავლობაში, ერთი მნიშვნელოვანი იყო საზოგადოების ინფორმირება მათი პერსონალური მონაცემების შესახებ. 2015 წლიდან ჩვენი ინსპექტირების არიალში მოექცა სამართალდამცავი ორგანოები, განვახორციელეთ რამდენიმე ინსპექტირება და გამოვავლინეთ კიდეც სამართალდარღვევის ფაქტები. აი, რამდენიმე დღის წინათ საკონსტიტუციო სასამართლოში იყო განხილული პროცესი კანონიერ ფარულ მოსმენებთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. ქალბატონმა თამარ ქალდანმა მკაფიოდ გამოთქვა აზრი, თუ რას ნიშნავს „ორგასაღებიანი სისტემა: შეუძლებელია, უფლებამოსილმა პირმა განახორციელოს ჩართვა — აბონენტის მოსმენა ინსპექტორის თანხმობის გარეშე. ინსპექტორი კი თავის მხრივ თანხმობას გასცემს მაშინ, როცა მოდის სასამართლოს განჩინება, ან პროკურორის დადგენილება მოსმენის გადაუდებლობის შესახებ. მაგრამ ბუნებრივია, ეს არ გამორიცხავს, რომ შეიძლება ვიღაცა კანონდარღვევით ჯერ კიდევ უსმენდეს“,** — აღნიშნა მან.

რა თქმა უნდა, ამის ერთი ხელისმოსმით გამორიცხვა შეუძლებელია. ვინაიდან მოსმენების მიმართ საზოგადოების საყოველთაო განცდა მართლაც არ არის ისეთი ზეკრიტიკული, როგორც ნაციონალური ხელისუფლების დროს იყო, გამოკითხულთა 50 პროცენტის უნდობლობაც შემაშფოთებელი სიგნალი აღმოჩნდა ინსპექტორის აპარატისთვისაც. **„ჩვენთვის ნამდვილად არ არის ცნობილი იმის შესახებ, რომ ვიღაც კანონდარღვევით უსმენს მოქალაქეს, — ამბობს დიმიტრი გუგუნავა, — ეს რომ ვიცოდეთ, შესაბამისი რეაგირებაც იქნებოდა, ვინაიდან უკანონო მოსმენა კანონით დასჯადი ქმედებაა. მინდა, დავამშვიდო მოსახლეობა და თქვენს მკითხველსაც ვუთხრა, რომ ის დღეს უფრო დაცულია, ვიდრე ოდესმე. ამწუთას რა მოსმენაც ხდება და რასაც ახორციელებს შესაბამისი უწყება, ყველა კონტროლდება ინსპექტორის მიერ. იმ დრომდე, სანამ ინსპექტორის აპარატი ჩაერთვებოდა მოსმენების პროცესში, როგორც მაკონტროლებელი, მოსამართლე და კანონი იყო გარანტია. ვინაიდან ინსპექტორის ინსტიტუტი შემოვიდა, როგორც დამატებითი მაკონტროლებელი, შესაბამისად, ეს ნიშნავს დამატებით გარანტიას. ჩემი აზრით, ამიტომაც საზოგადოების შფოთის საფუძველი ნაკლებია!“**

**თეა მოსია**

◉ მართლმსაჯულება

## კობახიძე და ბესელია კილაძის წინააღმდეგ





**საქართველოს პარლამენტის ინფორმაციით, პარლამენტის ვიცე-სპიკერის მანანა კობახიძის ადვოკატმა დავით ლანჩავამ „ქრონიკა+“-ის და ელისო კილაძის წინააღმდეგ საქალაქო სასამართლოს სარჩელით გუშინ 11:00 საათზე მიმართა.**

**სარჩელის მიზანია დამტკიცდეს, რომ „ქრონიკა+“-ის მიერ საჯარო პირის მანანა კობახიძის წინააღმდეგ გავრცელდა პატივისა და ღირსების შემლახველი, არასწორი, შეგნებული ცილისწამება, რომელიც მიმართული იყო საზოგადოების თვალში მისი დისკრედიტაციისკენ.**

**„სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, მოპასუხეს დაეკისრება ვალდებულება სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმით ცნობის გამოქვეყნება სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ“, — აცხადებენ საქართველოს პარლამენტში. ადვოკატის განმარტებით, ვიცე-სპიკერს აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებული საკითხები დღეიდან სამართლებრივ ჭრილში გადააქვს და, შესაბამისად, ნებისმიერ საკითხზე შეკითხვებს ადვოკატი უპასუხებს.**

**„მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, მანანა კობახიძემ ბევრი განცხადება გააკეთა პრესისთვის. ახლა ეს საქმე სამართლებრივ ჭრილში გადაგვაქვს და ნებისმიერ შეკითხვას ამიერიდან მე ვუპასუხებ“, — განაცხადა დავით ლანჩავამ.**

* * *

**პატივის და ღირსების შემლახავი განცხადებების გამო, ჟურნალისტ ელისო კილაძის წინააღმდეგ სარჩელის შეტანას საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატი ეკა ბესელიაც აპირებს.**

**„სარჩელი მზადდება. მე ვაპირებ ეს გავაკეთო, არა მარტო საკუთარი პრინციპული პოზიციისთვის და საზოგადოებას ვაჩვენო, რომ ხდება ცრუ ინფორმაციის გავრცელება, არამედ, იმისთვის, რომ ჩვენს მოქალაქეებს ჰქონდეთ დაცვის მეტი გარანტიები ამ პრეცედენტების შექმნით“, — განმარტა ეკა ბესელიამ.**

## მურუსიძის მოსამართლედ დანიშვნა საბოლოოდ შელახავს სასამართლოს რეპუტაციას



**„საქართველოს განვითარების ფონდის“ დამფუძნებელი პაატა ბურჭულაძე ხელისუფლებას და იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მოუწოდებს ლევან მურუსიძის მოსამართლედ დანიშვნას მხარი არ დაუჭირონ.**

**„პარასკევს დაგეგმილ კენჭისყრაზე არჩევანი ტრადიციულ უსამართლობასა და სასამართლოს რეპუტაციას შორის უნდა გააკეთონ — გირგვლიანის საქმის მოსამართლის ლევან მურუსიძის უვადოდ დანიშვნა ნიშნავს, რომ დღევანდელი ხელისუფლება წინა ხელისუფლებასთან ერთად, გირგვლიანების ტრაგედიაზე პასუხისმგებლობას ინაწილებს. შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლება სრულად ანგრევს სასამართლო სისტემას, იმ აუცილებელი რეფორმიც ნაცვლად, რომელიც სისტემაში არის გასატარებელი.**

**მოვითხოვთ, საქართველოს ხელისუფლებისგან: ნუ დაუჭერს მხარს უსამართლო და უკანონო განაჩენებზე ხელმომწერი მოსამართლეების უვადო დანიშვნას, რაც სრულად და საბოლოოდ შელახავს სასამართლოს რეპუტაციას“, — განაცხადა პაატა ბურჭულაძემ.**

ჯი-ეიჩ-ენი

# მაიზერ გელოვანი: თბილისის ომის შემდეგ ქართველებს ასე „კარგად“ არც ერთ ომში არ უომიათ

**ეს არის ჩვენი ისტორია. ეს არის ის, რაც გადაიტანა ჩემმა თაობამ. ჩემი თაობა ქარცეცხლიან საქართველოში ცხოვრობდა, ჩემი შემდგომი რამდენიმე თაობა ამ ქარცეცხლიან საქართველოში დაიბადა და გაიზარდა. ეს არის ის, რაც არ უნდა დაგვავიწყდეს.**

**ამ საყოველთაო ქართულ სირცხვილზე საკუთარ აზრს გვიზიარებს საქართველოს უახლესი ისტორიის ყველა ომის მონაწილე, მაიორი მაიზერ გელოვანი.**

— თბილისის ომის დროს ეროვნული გვარდიის ახალციხის მეცხრე ბატალიონში ვიყავი ოცმეთაური. ომის დაწყების წინაპირობა მოსკოვში 19 აგვისტოს მოვლენები გახდა. გვარდია ამ დროს ყალიბდებოდა და ყალიბდებოდა ძალიან კარგად. იყო ენთუზიაზმი, სამშობლოს სიყვარული, მთავარსარდლის უდიდესი სიყვარული ჰქონდა ხალხს და ეს გვარდიის ჩამოყალიბების პროცესში აშკარად ჩანდა. ჩვენი ბატალიონის მეთაური იყო გივი ფარადაშვილი, შტაბის უფროსი ნუკრი შალამბერიძე, ორივე ძალიან პატრიოტი ადამიანი იყო. 19 აგვისტომ ყველაფერი თავდაყირა დააყენა. 20 აგვისტოს ღამით წამოგვიყვანეს რკონში, გვითხრეს წვრთნებზე მიდიხართო. სინამდვილეში კი, თურმე, რუსეთიდან ყოფილა განცხადება გაკეთებული საქართველოს არა აქვს უფლება, გვარდია შექმნას, ამიტომ ვურჩევთ, დაშალოსო. ამ დროს ზვიად გამსახურდიამ ფანდი იხმარა და გვარდია დროებით შინაგან ჯარად გადააკეთა, რითაც გვარდია გადაარჩინა. ამას მოყვა დიდი განხეთქილება, კიტოვანი გადაუდგა პრეზიდენტს. როცა ჩვენ წამოგვიყვანეს რკონში, თურმე, სწავლებები კი არა გვარდია გადაუდგა მთავარსარდალს და ამიტომ წამოგვიყვანეს.

**— რა მდგომარეობა იყო ამ დროს თავად ჯარისკაცებში.**

— ჩვენ როცა გადაგვიყვანეს, გვითხრეს, რომ საველე პირობებში მივყავდით და ამას ჯარისკაცები ჩვეულებრივად შეხვდნენ. ჩვენ გადაგვიყვანეს რკონის ხეობაში, სადაც თავი მოუყარეს საქართველოში არსებულ ყველა ბატალიონს. ერთადერთი, ზუგდიდის და სამტრედიის ბატალიონი არ ჩამოვიდნენ, როგორც მოგვიანებით გავიგე, მათ ჰქონდათ ინფორმაცია, სინამდვილეში რაც ხდებოდა. ჩაგვიყვანეს რკონში, საჭმელ-სასმელი იყო, კაი ბუნება, კარგი პირობები, ვვარჯიშობდით და ვიყავით.

**— საბრძოლო ვარჯიში იყო?**

— არა, ტაქტიკური ვარჯიში არ იყო, ჩვენ ვვარჯიშობდით ჩვენთავად. საინფორმაციო ვაკუუმში ვიყავით, ჩაიკეტა ყველა შემოსასვლელი, მხოლოდ ერთი მხრიდან იყო შემოსასვლელი. დაახლოებით ერთ კვირაში ჯარისკაცების მშობლებმა დაიწყო მოსვლა და დაძაბულობის ელემენტი მაშინ ვიგრძენი პირველად. ხალხი კითხულობდა, რატომ გადაუდექით პრეზიდენტსო, ბოლოს კი შემოსვლა უნდოდათ ბაზაზე და ჩვენ ვაკავებდით მათ.

**— კიტოვანი სად იყო ამ დროს?**

— რკონში იყო ჩვენთან ერთად, მაგრამ ჩვენ არ გვეუბნებოდა სინამდვილეში პრეზიდენტს რომ გადაუდგა. ხალხისგან, იქ მოსული ჯარისკაცების მშობლებისაგან როცა გავიგეთ, რაც მოხდა სინამდვილეში, გვარდიაში ჩოჩქოლი ატყდა. ამ დროს ჩამოვიდა კაკო ასათიანი, ნუ გეშინიათ არაფერი გემუქრებათ, არავინ აუქმებს გვარდიასო — გვითხრა. როცა ყველაფერი ნათელი გახდა, სიტუაცია ძალიან დაიძაბა, ბევრი თავისით წამოვიდა რკონიდან თბილისში და შეუერთდა ზუგდიდის ბატალიონს, რომელიც მთავრობის სახლთან იდგა. ახალციხის ბატალიონი მთლიანად ჩამოვიდა თბილისში, ახლადჩამოსულებს ამრეზით გვიყურებდნენ ქობალიას მებრძოლები. ძალიან ცუდი სიტუაცია იყო, ჩვენ ვამტკიცებდით, რომ არ ვიყავით მოღალატეები, ისინი ეჭვის თვალით გვიყურებდნენ. ზუსტად ისეთი მდგომარეობა იყო, როგორიც ახლაა, ყველაში ეძებდნენ მოღალატეს, ძალიან დაძაბული სიტუაცია იყო.

**— დაძაბული თუ არეული?**

— დაძაბული. შეხლა-შემოხლა არ ყოფილა. თბილისი, უფრო სწორად, რუსთაველის პროსპექტი მიტინგების ადგილად იყო გადაქცეული, ერთდროულად, ერთ ქუჩაზე რამდენიმე განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების ადამიანთა ჯგუფები ატარებდნენ მიტინგს. რუსთაველზე ერთი საათი რომ გევლოთ, რამდენჯერმე შეგეცვლებოდათ პოლიტიკური შეხედულება. გია ჭანტურიას მიტინგიდან პირდაპირ თემურ ჟორჟოლიანის მიტინგზე გადახვიდოდით „უსაშვოდ“, შემდეგ წერეთლის და ბოლოს გამსახურდიას მიტინგზე მოხვდებოდით.

**— იშვიათი შემთხვევა იყო ეს, მთავრობაც კი მიტინგით იცავდა თავს.**

— არ ვამართლებ მე ამას, მთავრობა აქციებით არ უნდა იცავდეს თავს. ჯარი ამ დროს იდგა ოპოზიციისა და მთავრობის შუაში. 1991 წლის ოქტომბერში მოხდა პირველი შეტაკება, მაშინ ჯარმა გავწმინდეთ იქაურობა. სროლას რაც ეხება, რუსთაველზე 21 დეკემბრის საღამომდე არ გავარდნილა ტყვია.

**— რომელი მხრიდან გავარდა პირველი ტყვია?**

— მე ვიტყვი იმას რაც ჩემი თვალით ვნახე, 21-ში საღამოს ძალიან დაიძაბა სიტუაცია,



ორივე მხარეს ძალიან ბევრი ადამიანი შეიკრიბა, შუაში ვიდექით ჩვენ. ოპოზიციის მხრიდან ადამიანები შეეცადნენ, ჯარის ნაწილებში შემოსულიყვნენ. კარგად მახსოვს, როგორ გვაგინებდა ჯარისკაცებს ვანო ხუხუნაიშვილი, მონებს გვეძახდა! ისე დაიძაბა სიტუაცია, ხალხის ნაკადი ვერ შევაჩერეთ. ორი ნაკადი ერთმანეთში აირია. ამით ცოტა განიმუხტა სიტუაცია, იმ მომენტში დაწყნარდა ვითარება, მაგრამ მოგვიანებით, რამდენიმე საათში ჩაიკეტა ავტობუსებით და სატვირთო მანქანებით გზა. ოპოზიციის მხარემ მოიყვანა სატვირთო მანქანები და მთავრობის ჩაყენებული ავტობუსები ამ მანქანებით გაათრიეს. ასეთ დაძაბულობაში დაგვათენდა თავზე.

ამ დროს კიტოვანი იყო ზღვაზე. ჯერ ცირკთან იყო დაბანაკებული, შემდეგ ზღვაზე გადავიდა. მერე იყო ასეთი სიტუაცია, კიტოვანის ხალხი გამსახურდიას ხალხზე ნადირობდა. ვისაც კი დაიმარტოხელებდნენ, აყავდათ ზღვაზე, ცემდნენ და ცოცხალ-მკვდარს გამოუშვებდნენ იქიდან. ერთი ჩემი მეგობარია, დათო წოწკოლაური, მუხროვანზე ერთად ვმსახურობდით, დათო ამ დროს ჯარისკაცი იყო, დაუჭერია კიტოვანის ხალხს და ისე უცემიათ, კარგა ხანს ფეხზე ვერ დგებოდა თურმე.

22 დეკემბრის გამთენიისას ისევ ორმხრივი მიტინგი ტარდებოდა, ლევან ღვინჯილიას მიყავდა ძირითადად ოპოზიციის მიტინგი, აქით — გურამ პეტრიაშვილს. გათენებისას, 6-7 საათისთვის გავარდა პირველი ტყვია. მე დავინახე პირველი ტყვია ქაშუეთის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიიდან წამოვიდა, ეს მე რაც დავინახე და მანამ თუ გავარდა კიდევ სადმე ტყვია, არ ვიცი. პირველ ტყვიას ზარბაზნის ქუხილი მოჰყვა. სხვა თემაა, როგორ მუშაობდა ასე „კარგად“ ეს დაზვერვა, ზარბაზანი რომ მოაგორეს რუსთაველზე, ვერავინ რომ ვერ დაინახა? არაკომპეტენტური ხალხი იყო დანიშნული თანამდებობებზე და იმიტომ მოხდა ეს ყველაფერი. ახალი მოსული ხელისუფლება ძველ კადრებს უნდობლობას უცხადებდა და ვინც კი მოიყვანეს, თავად ყველა არაპროფესიონალი იყო. ხალხი ჯარში არ იყო ნამსახურები, ისე დანიშნეს საკვანძო ადგილებზე, პირდაპირ ხდებოდნენ მაიორები და პოლკოვნიკები და დააყენებდა ოპოზიცია ზარბაზანს დედაქალაქის მთავარ პროსპექტზე, აბა რა იქნებოდა? ისეთ პროფესიონალ სამხედროებს, როგორებიც იყვნენ ავთანდილ ცქიტიშვილი, გუჯარ ყურაშვილი, გია უჩავა და რა ვიცი, რომელი ერთი ჩამოვთვალო, რომ გააგდებ და პურის მანქანის მძღოლს მოიყვან, მადლობა, უნდა თქვა, იმაზე უარესი რომ არ მოხდა, რაც მოხდა! ომიც ამან გამოიწვია და დაპირისპირებაც! ქაშუეთის ეკლესიიდან ნასროლი ბომბი ააცილეს მთავრობის სახლს და მთაწმინდის დასახლებაში ჩავარდა...

**— გაიქცა მთავრობა, რა ხდება ამის შემდეგ ჯარის იმ ნაწილში რომელიც გამსახურდიას უჭერდა მხარს?**

— მთავრობა კი არ გაიქცა, წავიდა. გასვლის დროს ახალციხის და თბილისის სპეცდანიშნულების პოლკი მიყვებოდა ესკორტს წინ, გზას ვუკვალავდით. მეტეხის ხიდთან ჩასაფრებაში მოვყევით. პიკეტი იყო, ჩვენი კოლონა გაჩერდა, არ ვიცოდით, ვინ იყვნენ იქ. ისე იყო არეული სიტუაცია, ვინ ვისი მომხრე იყო, მხოლოდ ტყვიის გასროლის შემდეგ გაიგებდი. ზედ ხიდზე გაჩერდა კოლონა, ჩვენ ვიცოდით, რომ პრეზიდენტი დასავლეთისკენ უნდა გასულიყო, მობრუნება დავაპირეთ და ამ დროს სამი მხრიდან ტყვიამფრქვევებით გაგვიხსნეს ცეცხლი. ჯვარედინი ცეცხლი გაგვიხსნეს, ადამიანები ჩაცხრილეს ავტობუსებში და მანქანებში. ჩვენს მანქანაში ხუთი ოფიცერი ვიჯექით, მე, ასმეთაური ვეფხია ბიჩინაშვილი, სერგო ინასარიძე, ალეკო მუხაძე და გენადი კვერნაძე. გენადი ჩემგან მარჯვენა მხარეს იჯდა, სერგო მარცხნივ, საჭესათან იჯდა ვეფხია, გვერდით ეჯდა ალეკო. როგორც კი სროლა დაიწყო პირველი ტყვია მოხვდა მძღოლს. ოთხი ტყვია მოხვდა ვეფხიას თავში, მაგრამ უფლის წყალობით არც ერთი ტყვია არ იყო სასიკვდილო. ზემოდან გაუარა თავზე და მისგან გამოსული ტყვია პირდაპირ სერგოს მოხვდა თავში და თავის ქალა ახადა. ვეფხიას გონება დაეკარგა, გაითიშა, სერგოს ტვინი და სისხლი მე მომესხა სახეზე.

მანქანა რაღაცას შეეჯახა და დადგა, თავი დავწიე, მეყრება ნამსხვრევები თავზე, ვერ ავღწერ, ისეთი საშინელი სიტუაცია იყო. სროლა რომ შეწყდა, თავი ავწიე. ცხონებულ სერგოს ნახევარი თავი ბეჭზე მედო, თავის ქალა ახდილი ქონდა, სერგოს სისხლი და ტვინი ერთმანეთში არეული ჩემი სახიდან კისერზე ჩამომდიოდა, გენადი საკუთარი სისხლისაგან იყო შეღებილი, ცურავდა სისხლში. ვეფხიას თავი უდევს საჭეზე, ალეკოს კარის გაღება მოუსწრია და მანქანიდან გადამხტარა. აი, ეს სურათი დავინახე თავაწეულმა, ეს იყო ჩემი პირველი საბრძოლო ნათლობა! მესმის ხმა — „დაგვნებდით თქვენი დედაც...“ ისე გვიყვიროდნენ და გვესროდნენ, თითქოს ფაშისტები ვიყავით. ჩვენს წინ ავტობუსი და სამხიდიანი მანქანა იყო ჩაცხრილული.

როგორც მაშინ გავიგე, სადღაც 120 კაცამდე დაიღუპა, ბევრი დაიჭრა. გურამ აბსანძე იმ ავტობუსში იყო, დაიჭრა. ავტობუსის კიბეებიდან მდინარესავით ჩამოდიოდა სისხლი, სამხიდიანი მანქანის მძღოლი მოკლა ტყვიამ, მანქანა დაეჯახა ხეს, ჩამოგლიჯა ტროლეიბუსის ხაზები, ხაზი დაეცა მანქანას და დენმა დახოცა ხალხი. ამ დროს გამოიარა პრეზიდენტის ესკორტმა, შეჩერდნენ ცოტა ხნით, მაგრამ საშიშროება იყო და მანქანები დაიძრა, გზა განაგრძეს. უკან ზუგდიდის ბატალიონი უნდა წამოსულიყო, მაგრამ როგორც კი ჩაჯდნენ ბიჭები ავტობუსში, ვერ დაძრეს მანქანა, საბურავები იყო დაშვებული. ზუგდიდის ბატალიონის ბიჭები ფეხით წამოსულან, შეტაკების მომენტში მოგვიახლოვდნენ. იმათი გამოჩენისთანავე გაიქცნენ თავდამსხმელები. ზუგდიდის ბატალიონის მოსვლის შემდეგ უკვე შეგვეძლო, გვენახა, რა გვჭირდა, მანქანის კარი გამოვაღე, ამ დროს, ვაიმეო — გავიგონე. ვეფხიამ ამოიგმინა, არიქა ცოცხალია-მეთქი ვიყვირე, გადმოვიყვანეთ, შევუხვიეთ თავი, გონზე მოვიდა, გამოფხიზლდა და სიარულიც კი შეძლო. ტყვიამ თავი კი დაუზიანა, მაგრამ თავში არ გაუვლია და გადარჩა!

**— საბოლოოდ გაირკვა ვინ იყვნენ ისინი?**

— ზოგი გვარდიელი იყო, ზოგიც მხედრიონელი. ნიღბებით იყვნენ. ესკორტმა გაიარა, ვინც გადავრჩით ავლაბრისკენ წავედით ავტობუსით, ზემოთ რომ ავედით, ფეხით გავაგრძელეთ გზა. 70-მდე ადამიანი მივდიოდით ერთად. ფეხით ავედით ლელიანში, იქიდან ტყეში გადავედით, ამასობაში გათენდა კიდეც, ვერტმფრენები გვეძებდნენ.

**— ანუ ყველა უნდა დაეხოცეთ?**

— ჩვენი ერთი მანქანა დასავლეთისაკენ წავიდა, ისინი ყველა ჩაცხრილეს, ოზურგეთის ბატალიონზე ვამბობ. ისინი იქ ჩაცხრილეს, ჩვენ აქ. საერთოდ, თბილისის ომის შემდეგ ქართველებს ასე „კარგად“ არც ერთ ომში არ უომიათ, ერთმანეთის ხოცვაში ძალიან მაგრები ვიყავით! ტყეში გასულები დავიმალეთ, ჩვენზე ნადირობა მიდიოდა და შესამჩნევები ვიყავით. მე, ვეფხია და კიდევ ორი ერთად წავედით ვეფხიას დასთან. ფეხით წავედით, დღე ვიმალებოდით, ღამით მივდიოდით. მაგრად ყინავდა, მშივრები, ღამენათევები ძლივს ვბანცალებდით, როგორია, მზის ჩასვლას რომ ელოდები?! ორი დღე-ღამე მოვუნდით გამარჯვებამდე ჩასვლას, მივედით მზიასთან. იქ ორი კვირა დავრჩი, იქიდან წამოვედი და ჩემთან წავედით, ზუგდიდში, მე, ალეკო და კიდევ რამდენიმე ოფიცერი. ჯერ არ იყვნენ შესული ზუგდიდში....

ამის შემდეგ სამეგრელოში გაგრძელდა ძმათამკვლელი დაპირისპირება... მოვლენები.

**ესაუბრა**
**ნიკა ასლანიძე**

## ⊙ კაკალ გულში

### წერცილოვანი თეზები

**● 1. ლევან მუსერიძე და ქართველი მოსამართლეები ევროპული სამართლის სტანდარტებს აკმაყოფილებენ?**

**2. კაპიტანი გიგაური, კაპრალი ლომჯარია და. სხვები ევროპული არასამთავრობო ორგანიზაციების სტანდარტებს აკმაყოფილებენ?**

**3. ქართველი ჩინოვნიკების შემოსავლების თანაფარდობა პენსიონერების შემოსავლებთან ევროპულ სტანდარტებს აკმაყოფილებს?**

**4. ქართული საბანკო სექტორი ევროპულ სტანდარტებს აკმაყოფილებს?**

**5. ქართველი პოლიტიკოსების ინტელექტი და სახელმწიფოებრივი აზროვნება ევროპულ სტანდარტებს აკმაყოფილებს?**

**6. ქართული მედია ევროპულ სტანდარტებს აკმაყოფილებს?**

**7. . . . .**

**● სულ ერთი საათი აღმოჩნდა საკმარისი რათა გამეგო, რომ თურმე სამოთხეში მიცხოვრია. მადლობა პარტიას ხალხზე ზრუნვისათვის!**

**● აქამდე უფულო მიმოსვლა მქონდა,ახლა უვიზო-უფულო მიმოსვლა მექნება.**

**გია გაბრიჭიძე**

# ერთი გვერდი რეკომენდაცია – 173 ათას ევროდ



**სახელმწიფომ ჯანდაცვის რეფორმის ჩატარება სახელდახელოდ რეგისტრირებულ „Global Alliance“ და „Imeda Global Medical Alliance“ -ს ჯგუფებს დაავალა, რომლებშიც „ვინმე“ ჟან ელი მალკინი ხან კონსულტანტი, ხან დირექტორია. მალკინთან ტანდემში საფრანგეთის ყოფილი ჯანდაცვისა და საგარეო საქმეთა მინისტრი ბერნარ კუშნერი გვევლინება. ამ დუეტს ჯანდაცვის რეფორმის განხორციელების გამოცდილება გაბონიდან და კონგოდან აქვს. მაგალითისთვის, იგივე გაბონში მალკინი-კუშნერის ჯგუფმა რეფორმების გასატარებელი 15-გვერდიანი დოკუმენტი მოამზადა, რომლის ერთი გვერდის ღირებულება, როგორც ფრანგული მედია წერდა, 173 ათასი ევრო იყო. რის საფუძველზე მიიღო საქართველოს ჯანდაცვის მინისტრმა მალკინი-კუშნერის სასარგებლო გადაწყვეტილება, ნამდვილად უცნობია. ერთადერთი ფაქტი ის არის, რომ არ ტანდემის მიერ გაბონთან და კონგოსთან დაკავშირებული სკანდალი კარგად ახსოვთ საფრანგეთში, თუმცა დღემდე არავის თვალად არ უნახავს მათი მომზადებული დოკუმენტი, რომელსაც აფრიკული ქვეყნების რეჟიმებმა გრიფი „საიდუმლო“ მიანიჭა.**

**ვისი ფინანსური ინტერესები იკვეთება ამ ჯგუფის მიღმა, რომელ კომპანიებს და რა მიზნით ლობირებენ ეს ბატონები, ჯერ კიდევ უცნობია, ისევე უცნობია ისიც, რას იტყვიან ისინი საქართველოში ჯადაცვის რეფორმასთან დაკავშირებით გაბონისა და კონგოსგან განსხვავებულს — იქ მათ თქვეს, რომ საჭიროა რეფორმები, საჭიროა დაზღვევა, საჭიროა ხელმისაწვდომობა — ეს ხომ ისედაც ვიცით. მაშინ რაში უხდის სახელმწიფო საეჭვო რეპუტაციის ადამიანებს ფულს, ამის მონიტორინგი თითოეული მოქალაქის ვალდებულება ხდება.**

**აღნიშნულ საკითხზე და მალკინი-კუშნერის გაბონურ-კონგოურ ავანტიურაზე „ჯი-ეიჩ-ენი“ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, ჯანდაცვის პოლიტიკისა და მართვის სპეციალისტს სერგო ჩიხლაძეს ესაუბრა.**

**— მედიაში დაიწერა, რომ გლობალური ალიანსის ხელმძღვანელი ბატონი მალკინი იყო აფრიკის ერთ-ერთ სახელმწიფოში მიწვეული კონსულტანტად ჯანდაცვის სფეროს რეფორმირებისთვის, ისევე, როგორც დღეს საქართველოში. თუ გაქვთ ამაზე რამე ინფორმაცია?**

— დიახ, მსგავსი ფაქტი ნამდვილად იყო გაბონში 2000-იან წლებში. ჟან ელი მალკინი და კუშნერი 2003 წელს აარსებენ ორ ორგანიზაციას — „Imeda Global Medical Alliance“ და „Africa Steps“ და აფორმებენ ხელშეკრილებას გაბონის მაშინდელ დიქტატორ ომარ ბონგოსთან, რომელიც 40 წელზე მეტი მართავდა გაბონს 2009 წლამდე. კონტრაქტის მიხედვით, 330,000 ევრო სამ ტრანშად უნდა გადაეხადა გაბონის მთავრობას, საბოლოო ჯამში გადაიხადა უფრო მეტიც 1,234,000 ევრო ჯამში. პარალელურად გაბონის მთავრობამ კონტრაქტი გააფორმა მეორე კომპანიასთანაც „Africa steps“ -თან და გადაუხადა კიდევ დამატებით 480,000 ევრო წელიწადში 3 წლის განმავლობაში. სულ მთლიანად, ამ საკონსულტაციო ჯგუფმა, რომელშიც შედიოდნენ მალკინი და კუშნერი, მიიღეს 2,670,000 ევრო. ამავე პერიოდში, მათ გააფორმეს მსგავსი კონტრაქტი კონგოს რეჟიმის მეთაურთან, გენერალ დენის სასუსთან. სულ მთლიანობაში ორივე ქვეყნის ჯანდაცვის სისტემის რეფორმირების დოკუმენტის შექმნისათვის მათ მიიღეს 4,600,000 ევროზე მეტი. ორივე ქვეყნის შემთხვევაში ანგარიშის ერთ-ერთი ავტორი და მთავარი კონსულტანტი იყო ჟან ელი მალკინი.

**— რამდენად ეფექტური და სასარგებლო იყო ის რეკომენდაციები, რაც ამ ჯგუფმა გაუწია გაბონის სახელმწიფოს ჯანდაცვის სისტემის რეფორმირების კუთხით?**

— საინტერესოა, რომ საბოლოო ანგარიში, რომელშიც ასახული უნდა ყოფილიყო გაბონის ჯანდაცვის რეფორმირება, არავის უხილავს მთლიანი სახით. ხოლო ის, რაც ნანახია, ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს. ანგარიში, რომელიც სულ 24 გვერდისაგან (აქედან 6 იყო გრაფები, სარჩევი და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა) შედგებოდა, შემოიფარგლებოდა მხოლოდ ზოგადი და ისედაც ყველასთვის კარგად ნაცნობი ფრაზებით, როგორიცაა, საჭიროა გაუმჯობესდეს გაბონის ჯანდაცვის სისტემა“, „საჭიროა გაბონელების საყოველთაო სამედიცინო დაზღვევა“, „საჭიროა ახალი პოლიტიკის შემუშავება ჯანდაცვის სფეროში მომუშავე პერსონალისათვის“ და ა.შ. უფრო მეტიც, კრიტიკოსებსა და ფრანგულ მედიაში არსებობდა მოსაზრება, რომ ეს დებულებები ფაქტობრივად იყო გამეორება უკვე არსებული მოხსენებებისა და ანგარიშების. როგორც ერთ-ერთი მაღალჩინოსანი აღნიშნავდა, არ იყო საჭირო კუშნერისთვის მილიონების გადახდა იმისთვის, რაც ისედაც უკვე იცოდნენ. ერთი სიტყვით, ანგარიში და რეკომენდაციები, რაც მალკინმა დაუწერა გაბონის მთავრობას საჯაროდ, სრულად არსად დადებულა. ხელმისაწვდომი გახდა მხოლოდ 15-გვერდიანი დოკუმენტი, რომელიც სწრაფადვე გაქრა ინტერნეტსივრციდან, და ფრანგული პრესა ხშირად ირონიულად აღნიშნავდა, რომ მალკინ-კუშნერის მიერ შექმნილი დოკუმენტის 1 გვერდი ღირდა 173,000 ევრო! მას შემდეგ, რაც სკანდალი აგორდა, და ეს მოხდა კუშნერის საგარეო საქმეთა მინისტრად დანიშვნის შემდეგ (2007 წლის მერე), „Imeda Global Medical Alliance“ და „Africa Steps“ - ის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გარდა ამ 15 გვერდისა, იყო 107-გვერდიანი აღწერა გაბონის ჯანდაცვის სისტემის შესახებ. უნდა ითქვას, რომ ეს აღწერილობითი ნაწილიც არავის უნახავს, და რომც ენახათ, ე.წ. მიმოხილვითი დოკუმენტის (desk review) შექმნისთვის მილიონებს არავინ იხდის, თუნდაც რომ კონსულტანტად დაქირავებული იყოს ცნობილი ექსპერტი, ყოფილი მინისტრი და ა.შ. უფრო მეტიც, სკანდალის აგორების შემდეგ კიდევ უფრო გასაიდუმლოებული გახდა მალკინის ეს ანგარიში. გაბონის მთავრობის წარმომადგენელმა ისიც კი განაცხადა, რომ ეს ანგარიში არის სახელმწიფო საიდუმლოება! წარმოგიდგენიათ ჯანდაცვის სისტემაზე ანგარიში, რომელსაც საკონსულტაციო ჯგუფი წარადგენს, უცებ ხდება სახელმწიფო საიდუმლო!!! ამ თემას, სხვათა შორის, დიდი გამოხმაურება ჰქონდა საფრანგეთის პრესასა და ტელევიზიაში 2009-2010 წლებში და ჩაცხრა 2010 წლის მერე, კუშნერის მინისტრის პოსტიდან წასვლის შემდეგ.

**— თქვენი აზრით, რა პარალელის გავლება შეიძლება აფრიკაში და საქართველოში მალკინის და მისი ორგანიზაციის საქმიანობიდან გამომდინარე?**

— უბრალოდ, მაშინაც აფრიკაში და ახლაც — საქართველოს შემთხვევაში, იქმნება სახელდახელოდ ორგანიზაციები, რომელთა სახელებიც კი იდენტურია თითქმის. „Global Alliance“ და „Imeda Global Medical Alliance“. ყველგან ფიგურირებს მალკინი, როგორც ხან წამყვანი კონსულტანტი, ხან დამფუძნებელი და დირექტორი. საეჭვო ვადებში იდება არაფრისმთქმელი ანგარიში, რომელშიც იხდიან მილიონობით ევროს და რომლის სარგებლობაც მაშინვე ეჭვის ქვეშ დგება, როგორც თვითონ ამ ქვეყნებში, ასევე საერთაშორისო არენაზეც. უფრო მეტიც, დოკუმენტი სასწრაფო წესით უჩინარდება საჯარო სივრცეებიდან. ჩვენთანაც, 2014 წლის აგვისტოში ბრიტანეთში რეგისტრირდება სახელდახელოდ „Global Alliance“, რომლის სახელიც კი მსგავსია იმისა, რაც იყო აფრიკაში. რამდენიმე თვეში კი საქართველოს მთავრობა ამ ისტორიის არმქონე ორგანიზაციას, და პირადად მალკინს, რომელსაც აქვს საკმაოდ საეჭვო და კითხვებით სავსე გამოცდილება აფრიკაში, უფორმებს კონტრაქტს და ანდობს საქართველოს ჯანდაცვის სისტემის რეფორმირებას. კიდევ ერთხელ ვსვამ კითხვას: რა კრიტერიუმით შეარჩია სამინისტრომ და პირადად მინისტრმა სერგეენკომ ეს ორგანიზაცია „Global Alliance“? სახელმწიფო ჯანდაცვის სისტემის რეფორმირების რა წარმატებული გამოცდილება აქვს ბატონ მალკინს?

**— რა საფრთხეებს ხედავთ თქვენ გლობალურ ალიანსთან მიმართებაში?**

— კიდევ გავიმეორებ და კვლავ დავსვამ ლეგიტიმურ კითხვებს... თუ აფრიკის ქვეყნებში საუბარია ავტორიტარულ რეჟიმებსა და იმაზე, რომ მათ შეუძლიათ სახელმწიფო ხარჯების არამიზნობრივად ხარჯვა, ჩვენ ხომ არ ვცხოვრობთ ავტორიტარული რეჟიმის პირობებში და ჩვენი ბიუჯეტი ხომ გამჭვირვალეა? ჩვენ გვაქვს უფლება, დავსვათ კითხვა: რატომ შეირჩა ეს ორგანიზაცია და ეს პიროვნება რეფორმების გასატარებლად? რა დამსახურებებისთვის? რატომ არ იყო ჩატარებული ტენდერი? და ა.შ. ხომ არ კეთდება ეს იმისთვის, რომ ჯანდაცვის სისტემის ობიექტების სამართავად საქართველოში შემოვიდნენ სხვადასხვა „გაურკვეველი“, საეჭვო რეპუტაციის, მაგრამ ხელისუფლებასა და ამჟამინდელ მმართველ ელიტასთან აფილირებული კომპანიები, რომლებიც შერჩეული იქნებიან ასევე უკონკურსოდ და ყველანაირი მოთხოვნების გარეშე? მე დავაკვირდებოდი ჯანდაცვაში მიმდინარე მოვლენებს, მაგალითად, ვის გადაეცემა სამართავად ესა თუ ის საავადმყოფო, ან რას მოგვახვევენ თავზე ფარმაცევტულ ბიზნესში. ვინ შემოვლენ მოთამაშეებად? ამას უნდა დავაკვირდეთ კარგად. განსაკუთრებით, იმ შემთხვევებში, როდესაც პირდაპირ თუ ირიბად ჩართული იქნება „Global alliance“ და მალკინი პირადად. აი, თუნდაც ახლახან, გლობალური ალიანსის რეკომენდაციითა და ჩართულობით, რესპუბლიკური საავადმყოფოს, ონკოლოგიური ცენტრისა და ბავშვთა ინფექციური საავადმყოფოს მართვაზე, ფლობასა და ოპერირებაზე გამოცხადებულ ტენდერში გაიმარჯვა ავსტრიულმა „ალფამედიკმა“. ვიცით რამე ამ კონსორციუმზე? არაფერს ვამტკიცებ, მაგრამ არ გამიკვირდება, თუ ამ ჯგუფის უკან გარკვეული ჯგუფების ფინანსური ინტერესები გამოიკვეთება. განსაკუთრებით საინტერესოა ფარმაცევტული ბიზნესი და ინტერესები. დაველოდოთ მოვლენების განვითარებას.

ესაუბრა
**ლაშა ნოდია**

**ბაზარი ჩვენი მღელვარებისა**

# საღლესასწაულო ხარჯს მომხმარებელი მინიმუმამდე დაიყვანს

**წლევანდელმა ფინანსურმა კრიზისმა მოსახლეობა რთულ მდგომარეობაში ჩააგდო. ამიტომ მომხმარებელი ცდილობს ყველა მიმართულებით შეზღუდოს ხარჯი. ამის გარეშე არც სადღესასწაულო დღეები ჩაივლის. შარშანდელთან შედარებით საახალწლო ბიუჯეტი დაახლოებით 1/3-ით შეიკვეცება. სავაჭრო ობიექტის ზოგიერთი წარმომადგენელი არ მალავს, რომ სურსათის სეგმენტში რეალიზაციის კლებაა მოსალოდნელი.**



სავალუტო რყევამ ხალხის ფინანსურ მდგომარეობაზე უარყოფითად იმოქმედა, რის გამოც მომხმარებლის უმეტესობას საახალწლოდ დანაზოგის გაკეთება უჭირს. მომხმარებელი ფიქრობს, რომ დოლარის კურსიდან გამომდინარე, ზოგიერთი პროდუქტის ფასი, შესაძლოა, გაორმაგდეს კიდეც, რაც საბოლოოდ მათ მსყიდველობით უნარზე გავლენას მოახდენს.

ერთი შეხედვითაც აშკარაა, რომ წელს საახალწლოს სუფრა ბევრ ოჯახში ღარიბული იქნება და მხოლოდ — აუცილებელი ატრიბუტებისგან შემდგარი.

ტრადიციულად საახალწლო-საშობაო სუფრა შემწვარი გოჭის, ინდაურის საცივის, ყველის ასორტის, ჩირის, ჩურჩხელისა თუ გოზინაყის გარეშე წარმოუდგენელია. ბაზარში ყველა საჭირო ინგრედიენტი უკვე საკმაოდ უხვადაა წარმოდგენილი. მომხმარებელი სწორედ ახლა საზღვრავს შემოსავლის რა ნაწილს დახარჯავს საახალწლო სუფრისთვის.

**საშუალო ზომის ინდაურის ფასი წელს 60 ლარია, ერთი კილოგრამი საქონლის ხორცის შეძენა 11 ლარადაა შესაძლებელი, ღორის სამწვადე კი 12 ლარი ღირს, 7-8-კილოგრამიანი გოჭი 120-130 ლარი ფასობს, ერთი კილო იმერული ყველი 8-9, სულგუნი — 13 ლარი ღირს. ნიგვზის ფასი 16 ლარიდან იწყება და 25 ლარამდე ადის. ქამა სოკოს ფასი ჯერჯერობით 7-დან 10 ლარამდე მერყეობს, თუმცა ფასის მომატებას ვარაუდობენ. მოვაჭრეები ამბობენ, რომ შედარებით გაძვირდება ცოცხალი თევზიც, რომელიც ჯერჯერობით 10 ლარი ღირს, თაფლი 15 ლარად იყიდება, ჩურჩხელა — 1,50-დან 3 ლარამდე, ერთი ასხმა კარალიოკის ჩირი კი 5 ლარი ღირს.**

მოვაჭრეების თქმით, ყველა ზემოთ ჩამოთვლილ პროდუქტს, ახალი წლის წინა დღეებში ფასი მცირედით მოემატება, თუმცა როგორც ისინი აღნიშნავენ, ღირებულების რაოდენობა მაინც შემოსული საქონლის რაოდენობასა და მყიდველის მსყიდველობით უნარიანობაზე იქნება დამოკიდებული. ამ მხრივ კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წელს რთული მდგომარეობაა. ფინანსური კრიზისის ფონზე, მომხმარებელი ხელგაშლილობას მაქსიმალურად ერიდება.

ეკონომისტი **ნოდარ კაპანაძე** ამბობს, რომ დღესასწაულებზე პროდუქტები სისტემატურად ძვირდება, რისი მიზეზიც არაჯანსაღი საბაზრო პირობებია. ფასებზე განსაკუთრებულ გავლენას მოთხოვნის ზრდა ახდენს.

**„ჩვენი ხასიათიდან გამომდინარე, საახალწლოდ, საშობაოდ და სააღდგომოდ ხალხი ყოველთვის ეცდება შესაძლებლობისი მაქსიმუმის გამოვლენას. ქვეყანაში ჯერაც კრიზისია, ხალხს ყოფითი პრობლემების მოგვარება და პირველადი მოთხოვნის პროდუქციის შეძენაც კი უჭირს, მაგრამ საახალწლოდ, თუნდაც ერთი დღით, სუფრის გაშლას ყველა ეცდება. შეიძლება, ცოტა ღარიბი სუფრა ჰქონდეთ, ვიდრე ადრე, მაგრამ თანხას მაინც არავინ დაიშურებს“,** — ამბობს კაპანაძე და დასძენს, რომ საახალწლო სუფრისთვის დამახასიათებელი გოჭი და ინდაური ნაკლებად, მაგრამ ამ დღისთვის აუცილებელი სხვა პროდუქტები ყველა ოჯახში ექნებათ.

**ბექა დანელია**

№241. ოთხშაბათი, 23 დეკემბერი, 2015 წელი.

ევგენი ჯუღაშვილი

# პაპაჩემი სტალინი. „ის წმინდანია“



## პერსონალური პენსია

1953 წლის დეკემბერში დედა მინისტრთა საბჭოში გამოიძახეს და მას გადასცეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 14 ნოემბრის განკარგულება: „1953 წლის 1 ნოემბრიდან ი.ბ. სტალინის შვილიშვილს — ევგენი იაკობის ძე ჯუღაშვილს, დაბადებულს 1936 წელს, დაენიშნოს პერსონალური პენსია თვეში 1000 მანეთის ოდენობით უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. მალენკოვი“. რამდენადაც ჩემთვის იყო ცნობილი, ასეთივე პენსია დაუნიშნეს სხვა შვილიშვილებსაც. პენსიას ღებულობდა დედა. მისი გარდაცვალების შემდეგ 1957 წელს წიგნაკი ჩემზე გააფორმეს.

სუვოროვის პერიოდი 1954 წლის 21 ივნისს დამთავრდა კალინინის სუვოროვის სამხედრო სასწავლებლის დამთავრების შესახებ ატესტატის აღებით. შეფასებაში ძირითადად იყო „კარგი“, „ფრიადი“ — მხოლოდ ხუთი. სამიანები არ მყოლია. ჩვენი კურსი გამოუშვა სასწავლებლის ახალმა უფროსმა, გენერალ-მაიორმა ი. დოლგოვმა. პირველ ხანებში ჩვენ, სუვოროველები, ვიკრიბებოდით რესტორნებში, ვმღეროდით სიმღერებს სტალინზე. განსაკუთრებით გვიყვარდა „არტილერისტების მარში“, სადაც იყო მინამღერი: „არტილერისტებო, სტალინმა გასცა ბრძანება...“ მაგრამ ხრუშჩოვის „დათბობის“ წლებში ჩვენს, სუვოროვის სასწავლებლის აღზრდილთა შორის, გაჩნდნენ „გონიერები“, რომლებიც სწრაფად გარდაიქმნენ და, დაივიწყეს თავიანთი ობლობის საწყისი, მათაც დაუწყეს ქვების სროლა თავიანთ გადამრჩენს.

## საგზური საქართველოში

საქართველოში პირველად „ველურად“ 1955 წელს წავედი. ასეთი თავისუფლების ნება დედამ მომცა (მეტი რა უნდა ექნა), ვინაიდან მე უკვე ვიყავი ნ.ე. ჟუკოვსკის სახელობის სამხედრო-საჰაერო საინჟინრო აკადემიის პირველი კურსის მსმენელი. აკადემიაში მისაღები გამოცდების გარეშე მიმიღეს. დედას უთხრეს, რომ მის მიმართვას ჩემი შემდგომი განათლების შესახებ თავდაცვის მინისტრმა ნ.ა. ბულგანინმა დააწერა: „მივესალმები სტალინის პირველ შვილიშვილს, ვისაც სურს სწავლა“.

მატარებლით ბათუმამდე ჩავედი, შემხვდა ჩემი მოსკოველი ნაცნობი, ასევე სტუდენტი ედნარ ჭიჭინაძე. 1956 წელს კი დედამ იშოვა საგზური ქალაქ გაგრის ჩელუსკინელების სახელობის სანატორიუმში.

სანატორიუმი ზღვის პირას იყო. ჩავედი, მაგრამ ადგილი სანატორიუმში არ აღმოჩნდა. შემასხლეს მთავარი ექიმის კაბინეტში, რომელმაც პარტიის რაიკომში დარეკა: „ჩამოვიდა ვილაც ჯუღაშვილი, ცხოვრობს ჩემ კაბინეტში დივანზე“. მოსულმა ადამიანებმა პირდაპირ კაბინეტში დაკითხვა მომიწყვეს: ვინ ვარ და საიდან, რატომ არ გაგვაფრთხილე ჩამოსვლის შესახებ. გადამიყვანეს ნომერში, სასადილოში კი დამსვეს სხვა მაგიდაზე ქართველებთან.

ყოველთვის „ვიკარგებოდი“ პლაჟზე. ზოგჯერ მივდიოდი ქალაქის პარკში. მაგრამ განსაკუთრებით დამამახსოვრდა ექსკურსია რიწის ტბაზე. საქმე ისაა, რომ სანატორიუმში ისვენებდა თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის არტისტების ჯგუფი. მათ შორის იყო წამყვანი სოლისტი მედეა ამირანაშვილი. მისმა ქმარმა ოთარმა მოაწყო რიწის ტბაზე გამგზავრება სატვირთო მანქანით. ბაზარზე იყიდეს ყველაფერი, რაც საჭირო იყო და დამპატიჟეს „ნიავზე სანავარდოდ“. მედეა კაბინაში ჩასვეს, ჩვენ კი, ექვსი კაცი, ძარაზე ავედით. აი ასე, ფეხზე მდგომლები და კაბინაზე ხელჩაჭიდებულები, ამაყად ჩავედით დანიშნულების ადგილზე. ტბის ფონზე გავაჩაღეთ კოცონი, შევწვით მწვადები. ვსვამდით ღვინოს, ვმღეროდით სიმღერებს, ვიღებდით ფოტოებს, დავბრუნდით გვიან ღამით.

## საქმიანი შეხვედრები,

### ანუ „ვინ ხარ შენ, ევგენი ჯუღაშვილო?“

დასახლოებით ერთი კვირის შემდეგ ვახშმად მიმიწვიეს პარტიულმა მუშაკებმა თბილისიდან, ისინი მთავრობის აგარაკებზე ისვენებდნენ. შემდეგ გავიგე, ესენი იყვნენ: საქართველოს უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის უფროსი ა.ნ. ინაური, სოფლის მეურნეობის მინისტრი შ.ი. ჭანუყვაძე, ქალაქ გორის პარტიის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი რ.ა. ბზიშვილი, სისხლის გადასხმის ინსტიტუტის დირექტორი შ.ვ. ეგნატაშვილი და სხვები, რომლებიც ვერ დავიმახსოვრე. თამადად შ. ი. ჭანუყვაძე აირჩიეს. პურობის დროს მათ აინტერესებდათ: სტალინის რომელი შვილიშვილი ვარ, სად ვცხოვრობ მოსკოვში, სად ვსწავლობ, რა ვიცი ვასილის ბედის შესახებ, რამდენი ჰყავთ მას და სვეტლანას შვილები, მქონდა თუ არა ურთიერთობა სტალინთან და ა.შ. ვუპასუხებდი — რაც ვიცოდი, სტალინის შესახებ კი ვუთხარი, რომ ის ვნახე მხოლოდ აღლუმზე, როგორც კალინინის სუვოროვის სამხედრო სასწავლებლის ბატალიონის მონაწილემ.

ვახშმის შემდეგ ან, უფრო სწორად, ხევრი დაკითხვის შემდეგ პატივცემულმა ჩინოვნიკებმა ამომასუნთქეს. მაგრამ, გაუსწრებ დროს და ვიტყვი, რომ ამ შეხვედრამ განსაზღვრა ჩემი შემდგომი ყოფნა საქართველოში.

სანატორიუმში გამაცნეს ადამიანი, რომელმაც სტალინის გარდაცვალება აღიქვა, როგორც პირადი უბედურება ისე ძლიერ, რომ გონებაზეც აღარ იყო. ყველაფრისადმი გულგრილი იყო. ექიმებმა მთხოვეს მქონებოდა მასთან ურთიერთობა. მათ მიაჩნდათ, რომ ჩემთან ურთიერთობა დაეხმარება მას. წარმოუდგენელია, მაგრამ ნახვიდა პართენის ძე დათუაშვილი მართლა „მოეგო გონს“ და არ მშორდებოდა, ისიც „მზრდიდა“, მიყვებოდა კახეთის შესახებ. „აფხაზეთი, — ამბობდა ის, ჯერ კიდევ არაა საქართველო. ნამდვილი საქართველო — ეს კახეთია. ევგენი, აუცილებლად უნდა ჩახვიდე კახეთში“. მოსკოვში ყოველი ახალწლის წინ ის მიგზავნიდა ამანათს ათობით ჩურჩხელით, მაგარი ტკბილი მსხლით, კაკლით, ნივრით, ჩამიჩით და ბოთლს ქართული „ჭაჭით“. მისი ცოლი გარდაიცვალა, ის მარტო ზრდიდა შვილ პაატას. როდესაც სკოლა დაამთავრა, პაატა მამასთან ერთად ჩავიდა თბილისში. მე მხარი დავუჭირე მისი შვილის სურვილს — გამხდარიყო სამხედრო. პაატამ ჩააბარა მისაღები გამოცდები და შევიდა თბილისის საარტილერიო სასწავლებელში. დაამთავრა წარჩინებით. ავღანეთში პაატამ მიიღო გენერლის წოდება. დამოუკიდებელ საქართველოში იყო თავდაცვის მინისტრ ყარყარაშვილის მოადგილე.

პაატა დათუაშვილის ბედი შემდგომ ტრაგიკული აღმოჩნდა. ის და ყარყარაშვილი გაგზავნეს სასწავლებლად რუსეთში გენერალური შტაბის აკადემიაში. საერთო საცხოვრებლიდან გამოსვლის დროს ის მოკლეს, ყარყარაშვილი კი მძიმედ დაჭრეს. პაატა თბილისში დაკრძალეს. მის კუბოსთან იჯდა უბედურებით განადგურებული ჩემი ძველი მეგობარი ნახვიდა პართენის ძე. მას გაეხარდა ჩემი დანახვა. ცხედართან მისი ორი შვილიშვილი თამაშობდა, რომლებსაც არაფერი გაეგებოდათ. გავიფიქრე: „იქნებ, დაგაშავე, რომ დავეხმარე პაატას, გამხდარიყო სამხედრო. გახდებოდა მეღვინე თავის კახეთში და იქნებოდა ცოცხალი“.

## გამგზავრება ქ. გორში

განსაკუთრებული ინტერესი ჩემდამი შ.ვ. ეგნატაშვილმა გამოიჩინა. მან შემომთავაზა წასულიყავით თბილისში. საგზურის დასასრულამდე ათი დღე რჩებოდა. მწყინდა დამეკარგა ამდენი ძვირფასი დღე ზღვაზე, რისთვისაც აქ ჩამოვედი. თანაც ჩამოყალიბდა ახალგაზრდული კამპანია დამსვენებელი გოგონებისა და ბიჭებისაგან. თუმცა ბატონი შოთა მაჩქარებდა. როდესაც განაწყენებულებას ვღებულობდი, დავფიქრდი: „სად მივდივარ? უცნობ ადამიანებთან უცნობ ქვეყანაში, თუნდაც ეს სტალინის სამშობლო იყოს“. ერთი სიტყვით, იყო და არა იყო რა. საღამოსთვის თბილისში ჩამოვედით, დავბინავდით ეგნატაშვილის აგარაკზე წყნეთში.

თბილისიდან გავემგზავრეთ გორში ეგნატაშვილის ნათესავებთან — ჯაბაურისა და კორინთელის ოჯახში. პარტიის გორის რაიონული კომიტეტის პირველმა მდივანმა ზურაბ ილიას ძე თავზარაშვილმა შემომთავაზა მენახა ახალი ხიდის ასფალტირება სარკინიგზო ხაზის გავლით. საღამოს მან მიმიწვია სპექტაკლზე გორის დრამატულ თეატრში. ჩვენი კომპანია განთავსდა აივნის ლოჟაში. სპექტაკლი ქართულ ენაზე იყო. ცდილობდნენ გადმოეთარგმნათ ჩემთვის, მაგრამ დარბაზის ხარხარის მუდმივი აფეთქებები აბნევდა მთარგმნელს და მე ვთხოვე, რომ ეს არ იყო საჭირო. შემდეგ მივედით მსახიობებთან კულისებში მიღმა. თავდაპირველად ისინი წუხდნენ, რომ ჩვენი კომპანია მათ მაყურებლებს ართმევს — ყველა აივნისკენ იმზირება. შემდეგ შემეკითხნენ, თუ მომეწონა სპექტაკლი. „ძალიან მომეწონა“, — კმაყოფილებით ვუპასუხე.

დილით გეგმა შევცვალეთ. ოთარ კორინთელმა თავის ახლობლებთან ერთად წამიყვანა საქართველოს უნიკალური ისტორიული ძეგლის — უძველესი ქალაქის უფლისციხის დასათვალიერებლად. ციხე-სიმაგრე გორიდან 12 კილომეტრშია. ეს იყო გამოქვაბული ქალაქი. ქალაქი ჩვენს ერამდე II ათასწლეულის ბოლოს — I ათასწლეულის დასაწყისში გაჩნდა. უფლისციხე უძველესი ძეგლებიდან გამორჩეულა არა მხოლოდ თავისი სიძველითა და კლდეში გამოკვეთილი დღვიმეებით, არამედ დიდი გვირაბით, რომელიც გამოთხრილია მდინარე მტკვრამდე. თუმცა, როდესაც ციხე-ქალაქიდან გამოვედი ამ გვირაბით, მე მდინარე ვერ აღმოვაჩინე. გასული წლების განმავლობაში მდინარე შორს წავიდა ციხე-სიმაგრიდან.

ოთართან ერთად მე ვიყავი ატენის ხეობაში. აქ ხარობს ვაზი, რისგანაც ამზადებენ ღვინო „ატენურს“. ღვინის ქარხანაში გამასინჯეს მისი გემო. იგი [illegible] [illegible] „საბჭოთა შამპანურს“ მაგონებდა. ამბობენ, თავის დროზე ის სტალინის ჩაჰქონდათ. მოსკოვში გავფრინდი წარმოუდგენელი მოგონებებით საქართველოს შესახებ. თბილისის აეროდრომზე მე ოთარ კორინთელი მაცილებდა.

ის, ვინც მოუთმენლად მელოდებოდა მოსკოვში, იყო დედაჩემი. მისი პირველი შეკითხვა იყო: „ვინ მიგიღო?“ ჩემს აღტაცებასა და საუბრებს თავგადასავლების შესახებ ის კმაყოფილებით ხვდებოდა. ის მიხვდა, რომ მე ახლა საქართველოს ვეღარ ჩამომაშორებდნენ. დედა 1957 წლის სექტემბერში კიბოსგან გარდაიცვალა. მე ლექციიდან გამომიძახეს. წავედი ბოტკინის საავადმყოფოში, ის ჯერ ისევ ცოცხალი იყო. მის საწოლთან იჯდა ჩემი ძმა ვიტალი, რომელიც ურიუპინსკიდან ჩამოვიდა. დედა მალე ჩვენი თანდასწრებით გარდაიცვალა. იცოცხლა სულ რაღაც 48 წელი. დედა დაკრძალეს გოლოვინის სასაფლაოზე, ის დაიტირეს „ყველა წმინდანის“ ეკლესიაში სოკოლში.

## შეხვედრა დასთან

ოქტომბერში ანა სერგის ასულმა ალილუევამ — სტალინის ცოლის ნადეჟდას დამ დამპატიჟა თავის ბინაში „მთავრობის სახლში“ სერაფიმოვიჩის ქუჩაზე №2-ში. მეკითხებოდა დედაჩემზე, მის ავადმყოფობაზე, სად დაკრძალეთ. მითხრა, რომ ხვდებოდა დედაჩემს, მაჩუქა თავისი მამის სერგეი იაკობის ძე ალილუევის წიგნი „განვლილი გზა“ წარწერით:

„1957 წლის 14 ოქტომბერი, მოსკოვი

ვჩუქნი სახსოვრად ჟენია ჯუღაშვილს, იაშა ჯუღაშვილი-სტალინის ვაჟიშვილს, მამაჩემის სერგეი იაკობის ძე ალილუევის მოგონებათა წიგნს „განვლილი გზა“. სერგეი იაკობის ძე ალილუევს უყვარს იაშა, ცხოვრობდა მასთან პეტერბურგში, აგრეთვე ქალაქ ზუბალოვის აგარაკზე უბანში. მისი შვილის — ჟენიას შესახებ მან იცოდა იაშასა და ალექსანდრე იაკობის ძე ეგნატაშვილის მეშვეობით. ასევე მეც, ანამ მისმა ქალიშვილმა — ვიცოდი ჟენიას შესახებ ალილუევების ურიუპინსკელი ნათესავების: მატრიონა ფედორის ასულ ალილუევას, ავგუსტა მიხეილის ასულ დუტოვა-ალილუევას, ვასიას შვილების — საშას და ნადიას მეშვეობით.

ამ მომენტში მე ის გავიცანი სევდიანი მიზეზის, მისი დედის გარდაცვალების გამო, რომელიც ცოცხალი რამდენჯერმე ვნახე. ვწუხვარ მისი უდროო გარდაცვალების გამო. საძიმარს ვუცხადებ მის შვილ ჟენიას. იაშაც ამბობდა, რომ ჰყავს ვაჟიშვილი ქალაქ ურიუპინსკში. ვუსურვებ მას წარმატებებს ცხოვრებაში, ბედნიერ კეთილშობილ მოღვაწეობაში, აგრეთვე კარგ ბედნიერ ოჯახურ ცხოვრებაში, რაც, სამწუხაროდ, არ ჰქონია მის დედას. ანა. 14.X. 1957 წ.“

თავად ანა სერგის ასულმა იცოცხლა კიდევ შვიდი წელიწადი. ის ქალაქგარეთ კრემლის საავადმყოფოში 1964 წლის აგვისტოში გარდაიცვალა. კუბო გამოსამშვიდობებლად გამოდგეს „მთავრობის სახლის“ წითელ კუთხეში. მე სასმართან ერთად მივედი. შევიკრიბეთ არაუმეტეს 15-20 კაცისა. საშა და მე კუბოსთან ვიდექით საპატიო ყარაულში. შემდეგ მე სვეტლანა იოსების ასულმა გამომიძახა, ის ახლობელთა შორის სკამზე იჯდა. როგორც მივხვდი, მის გვერდით იყო გალინა. „აი, ჟენია, გაიცანი, — მითხრა სვეტლანამ და თავის მეზობელზე მიმითითა, — აი, შენი და. გალინა შებრუნდა. გამახსენდა სასწავლებლის სასწავლო განყოფილების უფროსის პ.პ. პრიანიშნიკოვის ნათქვამი: „ნუ მიუშვებ ტუჩებს, როდესაც არ გკოცნიან“. მეც შევბრუნდი და გვერდზე გავედი. როდესაც ხალხის ჯგუფში ვიდექი, ზურგსუკან ვიგრძენი, რომ ვილაც მსჭვალავს თვალებით. შემოვტრიალდი. ასეა. პირდაპირ ჩემს ზურგსუკან იდგა გალინას დედა იულია ისააკის ასული მელცერი. მომეჩვენა, რომ ის სიამოვნებით დამახრჩობდა. მაგრამ უკვე გვიანი იყო. მე ადრე უნდა დავეხრჩე, ურიუპინსში.

ნოვოდევიჩის სასაფლაოზე არც ჩემი და, არც დედამისი არ ჩამოვიდნენ. მე წავედი! პატივი მივაგეთ მიცვალებულს მის ბინაზე. მისმა შვილმა ვლადიმერ ალილუევმა და მისმა ცოლმა სვეტლანამ ალაპი გადაიხადეს. მაგიდასთან მე სვეტლანა იოსების ასულის გვერდით ვიჯექი.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 239-240



## გრიპის „წამალი“

**კარდიოლოგები და გასტროენტეროლოგები შამპანურს დიდად არ სწყალობენ, თუმცა კი მასში ბევრი სასარგებლო რამ არის.**

თეთრი ყურძნის ფერმენტებთან ერთად ნახშირმჟავა ფილტვების ვენტილაციას აუმჯობესებს, აღაგზნებს სასუნთქ ცენტრებს. შამპანურ ღვინოში ასევე ბევრია მაგნიუმი, რომელიც დაღლას ხსნის, სელენი, რომელიც იმუნიტეტს ამაღლებს.

**გაციების ძველ ფრანგულ რეცეპტს თუ ვენდობით, ძილის წინ 100 გრამ ბრუტს (უმაღლესი ხარისხის შამპანურს) თუ შეათბობთ და მას ოდნავ ვაშლის წვენსა და თაფლს დაუმატებთ, ეს გრიპისგანაც საიმედოდ დაგიცავთ.**

## სიმსუქნის გენების მარცხი

**მასაჩუსეტსის (აშშ) ტექნოლოგიური ინსტიტუტის მეცნიერებმა მიაგნეს ხერხს, რომლის გამოყენებითაც შესაძლებელია... სიმსუქნის გამომწვევი გენების „გათიშვა“. მართალია, ცდების შედეგად ჯერჯერობით წონა მხოლოდ თაგვებს „დააგდებინეს“, მაგრამ, მკვლევართა განცხადებით, მოკლე ხანში ჭარბწონიან ადამიანებსაც ეშველებათ.**



წონის მომმატებელი ან გახდომის პროცესების მმართველი გენების არსებობა დიდი ხანია, დადასტურებულია. სიმსუქნის გამომწვევ გენს 2007 წელს პირველებმა ბრიტანელმა მეცნიერებმა მიაგნეს, მას შემდეგ კიდევ მრავალი მსგავსია აღმოჩენილი.

**გენი – ესაა კოდირებული ინფორმაცია, რომლის მეშვეობით ორგანიზმი ამა თუ იმ ცილას გამოიმუშავებს.** ესენი, შესაძლოა, იყვნენ ფერმენტები, ჰორმონები, სხვა შენაერთები. თანაც, სიმსუქნის მიზეზი შეიძლება იყოს უამრავი გენური კომბინაცია. ამიტომაცაა, რომ ზოგ ადამიანს გახდომა დიდად უჭირს, თუმცა დიეტასაც მკაცრად იცავს და ვარჯიშითაც ვარჯიშობს. ამდენად, მიამიტობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ორგანიზმში რაღაც „ღილაკის დაჭერით“ შესაძლებელია წონის მკვეთრად დაგდება, თანაც, კვების რაციონის შეუცვლელად და სპორტული ვარჯიშის გარეშე.

თუმცა კი ამჟამად ბიოტექნოლოგიები იმ დონეზეა მისული, რომ მეცნიერებს იმის შესაძლებლობა აქვთ, რომ, საჭიროების შემთხვევაში, ზოგი გენი „ამუშაონ“, ზოგიც „გათიშონ“.

აქედან გამომდინარე, ჭარბწონიანთათვის ზედმეტი კილოგრამების უპრობლემოდ მოცილების პროცედურა უახლოესი დროის სავსებით რეალური პერსპექტივაა.

## ტკბილი „ნუგეში“

**დიეტოლოგების განცხადებით, უშაქრო დიეტური სასმელები გახდომას ხელს უშლის.**

ცნობილია, რომ ტკბილი გაზიანი წყლების მოყვარულნი ყოველდღიურად 226 ზედმეტ კალორიას მოიხმარენ. მაგრამ, აღმოჩნდა, რომ, მართალია, დიეტური სასმელების მომხმარებლები ნაკლებ კალორიებს კი იღებენ, მაგრამ ამის შედეგად უფრო ტანწერწეტები არ ხდებიან. ამის მიზეზი ის ყოფილა, რომ კალორიულ სასმელებზე უარის თქმის სანაცვლოდ, ისინი თავს მავნე საკვების მიღებით „ინუგეშებენ“.

## კბილების „შეკეთება“... უექიმოდ

**იაპონიაში პასტა შექმნეს, რომელიც კბილებში ბზარებისა და ნახვრეტების... სტომატოლოგის დაუხმარებლად ამოვსების შესაძლებლობას იძლევა.**

თავისი შემადგენლობით, ახალი პასტა კბილის ემალის შემადგენლობის მსგავსია, ამდენად, მისი უშუალოდ კბილზე დატანა სავსებით შესაძლებელია. სამი წუთის შემდეგ პასტა კრისტალიზდება და ბუნებრივი კბილის ემალის სტრუქტურას ორგანულად ერწყმის.

## ჩვენი დამცველი... შვილები

**თურმე ცოლ-ქმარი, ვისაც ბევრი შვილი ჰყავს, უშვილო წყვილებზე გაცილებით იშვიათად... ხდებიან ავად.**

მრავალწლიანი დაკვირვებების შედეგად, მეცნიერებმა დასკვნა გამოიტანეს, რომ ერთი ან ორი შვილის ყოლა გაციებისა და ვირუსული დაავადებების რისკს 48 პროცენტით, ხოლო სამი და მეტის ყოლა – 61 პროცენტით ამცირებს.

ამის მიზეზად მკვლევარები მრავალშვილიანი მშობლების სტრესის დაბალ დონეს ასახელებენ. საქმე ისაა, რომ ბავშვებთან გამუდმებული კონტაქტი განგაშის შეგრძნებას ამცირებს და დეპრესიისგან გვიცავს.

## რას გვიქადის მეხსიერების დაქვეითება?

**ბოლო დროს სხვადასხვა სპეციალისტის კომპლექსური ჯგუფების მიერ ჩატარებული გამოკვლევების შედეგად, მეცნიერებმა ერთობ საგანგაშო დასკვნა გამოიტანეს: თანამედროვე ადამიანი თანდათანობით კარგავს საჭირო ინფორმაციის დამახსოვრების უნარს. გაჯეტების, მობილური ტელეფონებისა და კომპიუტერების იმედით, სადაც აუარება ცნობის განთავსების შესაძლებლობაა – დაწყებული ტელეფონის ნომრებიდან და ღირსშესანიშნავი თარიღებით დამთავრებული – ადამიანები გონების „ზედმეტი“ ინფორმაციით გადატვირთვას ერიდებიან. აქედან გამომდინარე გამოდის, რომ ტექნიკური პროგრესი უნარების რეგრესიით შემოგვიტრიალდა.**

ბუნებრივია, რომ კაცობრიობისთვის პროგრესი, ვთქვათ, მედიცინაში, აუცილებელია, მაგრამ არის ერთი სფერო, კერძოდ, გაჯეტიზაცია, სადაც ყველაფერი, არსებითად, თავდაყირაა დაყენებული. ახლა, ფაქტობრივად, საქმე იქამდეა მისული, რომ დამხმარე მოწყობილობები წარმოსახვით „წითელ ხაზს“ გადასცდნენ და თანდათანობით ადამიანური თვისებების მითვისება დაიწყეს. ბევრმა, შესაძლოა, ჯერჯერობით ბოლომდე ვერ გაათვითცნობიერა ცოტა ხნის წინათ ერთ-ერთი სამამულო ტელეარხით გადმოცემული მცირე ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ იაპონიაში რობოტი შექმნეს, რომელსაც უკვე ისეთი ლოგიკური დასკვნების გამოტანის უნარი აქვს, რომლებიც... პროგრამაში არ უდევს (?!). **ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადამიანებისგან (ანუ შემქმნელებისგან!) დამოუკიდებლად მოაზროვნე რობოტების ეპოქაში შევედით!!**

უწინ ბევრი ინფორმაციის ზეპირად დამახსოვრება გვიხდებოდა, რასაც გონების გარკვეული დაძაბვა სჭირდებოდა. როცა კაცი მეხსიერებაში ყველაფრის სწორად განთავსებას ცდილობს, იგი ყველა წვრილმანს გაიაზრებს, ამდენად, რაღაცის გახსენებისას, ასოციაციით, გარკვეულ ინფორმაციასთან დაკავშირებით მრავალ თანმხლებ გარემოებასაც იხსენებს. ხოლო როცა ეს პროცესი გაჯეტს აქვს მინდობილი, ჩვენ ასოციაციურ კავშირებს ვკარგავთ.

როცა ბლოკნოტში რამე ინფორმაციას ვიწერდით, ხელს ვამოძრავებდით – ამას ის მნიშვნელობა აქვს, რომ ყველა ადამიანს განუმეორებელი ხელწერა აქვს, რომელიც, სხვა თვისებებთან ერთად, მის ინდივიდუალობასაც აყალიბებს. **როცა კაცი წერს, იგი აქტიურად აზროვნებს.** წიგნის კითხვისას მეხსიერების უჯრედებში მიღებული ინფორმაცია ილექება, გაჯეტების პატრონს კი ეს აღარ სჭირდება, შესაბამისად, რეფლექსი უმუშავდება და საჭირო ცნობებსაც აღარ იმახსოვრებს. **ამის სავალალო შედეგი კი ის არის, რომ ხანმოკლე ხდება არა მარტო ჩვენი ოპერატიული, არამედ ხანგრძლივი მეხსიერებაც, ადამიანი თავის უნივერსალობას კარგავს, ერუდირების დონე იკლებს.**

ცხადია, გაჯეტების გამოყენება დაფიქრების უნარს ერთიანად კი არ გადაგვაჩვევს, უბრალოდ განზოგადებულად, ასოციაციურად აზროვნებას შეგვიზღუდავს. საბოლოოდ კი იქამდე მივალთ, რომ ჩვენი გადაწყვეტილებები იმაზე გაცილებით პრიმიტიული გახდება, ვიდრე შეგვეძლო მიგვეღო.

## ჭიაყელების... დიეტა

**ტომსკის უნივერსიტეტში დაიწყეს... ჭიაყელების მოშენება, რისი მიზანია მათ საფუძველზე... კვების პროდუქტების, კოსმეტიკისა და წამლების დამზადება.**

– ჩვენ კალიფორნიულ წითელ ჭიაყელებს შევისწავლით, – აცხადებს უნივერსიტეტის მცენარეთა დაცვის კათედრის გამგე, პროფესორი ანდრეი ბაბენკო. – ჭიაყელები – ესაა პროტეინის მაღალი შემცველობის მქონე ცილები, რომლებიც არც ძროხის, არც ცხოველთა სხვა სახეობებისას არაფრით არ ჩამოუვარდებიან. ძირეული გადამუშავების შედეგად ამ ცილის დიეტურ კვებაში გამოყენება შეიძლება. ხოლო თუ მას ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით გავაჯერებთ, ის კოსმეტიკური და ფარმაცევტული საშუალებებისთვის უაღრესად გამოსადეგი კომპონენტი იქნება.

## ნუ „დაიშრობთ“ თვალებს!

**ხელოვნური წამწამები თვალების ჯანმრთელობისთვის საფრთხეს წარმოადგენს, ვინაიდან მათ გამო თვალებში გაცილებით მეტი მტვერი ხვდება, რაც ჭარბ სიმშრალეს წარმოშობს.**

ამერიკელმა მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ევოლუციის გზაზე წამწამებმა იმ სიგრძეს მიაღწიეს, რაც, მხედველობისთვის დაბრკოლების შეუქმნელად, თვალების ჭარბი სიმშრალისგან დასაცავადაა საკმარისი.

უფრო გრძელი წამწამების ტარება კი, რომლებიც თვალების გარშემო ჰაერის ნაკადის გაძლიერებას იწვევენ, მათ ზედაპირზე მეტი მტვრის მოხვედრის მიზეზი ხდება, რაც მეტად არასასურველი სიმშრალეს იწვევს.



## ყველაფერს თავისი დრო აქვს

**ბავშვის გაჩენის ყველაზე ხელსაყრელი ასაკია 23-დან 32 წლამდე.**

ეს დასკვნა ბრიტანელმა მეცნიერებმა გამოიტანეს მას შემდეგ, რაც 60 ათასამდე მოხალისის მონაწილეობით კვლევა ჩაატარეს. მათი აზრით, ქალების ეს ასაკი ყველაზე ხელსაყრელია ჯანსაღი ბავშვის გაჩენისთვის.

### ◉ ამერ-იმერში

## თბილისს უსახლკაროთა ცივილური თავშესაფარი ექნება

**დედაქალაქის მერის დავით ნარმანიას ინფორმაციით, კარვების ქალაქის მშენებლობა სრულდება.**



„60-ზე მეტი ბენეფიციარი უკვე გადაიყვანეს თავშესაფარში. ეს პროცესი მიმდინარეობს. ასე რომ, ახალ წელს ყველა შეხვდება თბილად, ახალაშენებულ თავშესაფარში, სადაც ყველანაირი პირობებია იმისათვის, რომ ეს ადამიანები ცხოვრობდნენ ნორმალურ გარემოში. კარვების ქალაქი სრულდება და ქალაქში ცივილური თავშესაფარი გვექნება“, – განაცხადა ნარმანიამ.

## პატიმრებს ანაზღაურებად სამუშაოებზე დაასაქმებენ?

პატიმრები შესაძლოა, პენიტენციური დაწესებულებების მცირე სარემონტო სამუშაოებზე დაასაქმონ.

შესაბამისი ცვლილებები „პატიმრობის კოდექსში“ შედის, რომლის ავტორი სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროა.

პარლამენტში წარდგენილი ცვლილებებით, თუკი პენიტენციურ დაწესებულებას ბრალდებული/მსჯავრდებულთა დასაქმების შესაძლებლობა აქვს, მას შეუძლია, ისინი მცირე სარემონტო სამუშაოებზე დაასაქმოს.

პროექტით, სამინისტრო მცირე სამუშაო ჯგუფების შექმნას გეგმავს, რომლებსაც შესაბამის პროფესიაში გადაამზადებს და მათი მეშვეობით იმ მცირე სარემონტო სამუშაოების შესრულებას უზრუნველყოფს, რომელიც კონკრეტულ შემთხვევაში, პენიტენციალურ სისტემაში იქნება.

სამინისტრო ფიქრობს, რომ ამ გზით მსჯავრდებულებს სამუშაო უნარები გამოუმუშავდებათ და შესრულებული სამუშაოებისათვის შესაბამისს ანაზღაურებას მიიღებენ.

„ასეთი ტიპის სამუშაოებზე მსჯავრდებულთა დასაქმება მათ რესოციალიზაციასა და რეაბილიტაციას ხელს შეუწყობს“, – განმარტავს სამინისტრო.

ამასთან ერთად, ბრალდებულს/მსჯავრდებულს საშუალება ექნება პენიტენციალური დაწესებულების კონტროლით სხვადასხვა ნივთები დაამზადოს და მისი რეალიზაცია მოახდინოს.

მთავრობის განმარტებით, პენიტენციალურ დაწესებულებებში, დღემდე არაერთი მსჯავრდებული დაკავებულია ინდივიდუალური საქმიანობით, კერძოდ, ისინი ამზადებენ სხვადასხვა ტიპის ნაკეთობებს, როგორიცაა: ჯვრები, მინანქრისა და თექის ნაწარმი.

„მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით, სავარაუდოდ, ონლაინ მაღაზიის მეშვეობით ნამუშევრების გაყიდვა მოხდება და რეალიზაციით მიღებული თანხა პირდაპირ ბრლადებულ/მსჯავრდებულის პირად ანგარიშზე ჩაირიცხება“, – აღნიშნულია განმარტებით ბარათში.

## ქართული კაკალი ექსპორტზე ევროპაში გავა

კახეთში, სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ ტიბაანში, კაკლის გადამმუშავებელი საწარმო აშენდება. კომპანია „კამარა ექსპრესმა“ 2 წლის ვადაში საკვები პროდუქტების ქარხანა უნდა ააშენოს. 2,6 ჰექტარი მიწის ნაკვეთი, კომპანიის პირდაპირი მიყიდვის წესით, „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გადაეცა.

კომპანია ქარხანაში მინიმუმ 85 000 ლარის ინვესტიციას განახორციელებს. „კამარა ექსპრესში“ ვარაუდობენ, რომ წელიწადში 10 ტონა კაკლის წარმოება და გადამუშავება მოხდება. კომპანია ნედლეულს ადგილობრივი მეწარმეებისგან შეიძენს. პროდუქცია მთლიანად ექსპორტზე იქნება ორიენტირებული. საექსპორტო ქვეყნების სიაში ევროპის ქვეყნები – იტალია, გერმანია და ავსტრია მოიაზრება.

ჯი-ეიჩ-ენი

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# პრემიერ ღარიბაშვილის სამი წელი



**საქართველო დიდი აბრეშუმის გზის მნიშვნელოვანი რგოლი ხდება.** ამის შესახებ თბილისში განაცხადა ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, რომელმაც წარმოადგინა ანგარიში „ქართული ოცნების“ მართვის სამი წლის შესახებ. მთავრობის მეთაური საუბრობდა მიღწევებისა და იმ გამოწვევების შესახებ, რომლებიც დგას სახელმწიფოს წინაშე. ისაუბრა სამომავლო გეგმებზე. განალაგა პრიორიტეტები და ცნობები, რომ საქართველო გახდება მიმზიდველი „აფხაზი და ოსი ძმებისთვის“.

**„ევროპა მაღალ შეფასებას აძლევს ჩვენ მიღწევებს და ფართოდ გვიღებს კარს“,** — განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, რომელმაც თავისი გამოსვლა დაიწყო უკანასკნელი დღეების მთავარი თემით. ირაკლი ღარიბაშვილმა კვლავ მიულოცა ქვეყნის მცხოვრებლებს ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის გზაზე გეგმების წარმატებით შესრულება, ბრიუსელის თანხმობა საქართველოს მოქალაქეებისთვის ვიზების გაუქმების შესახებ, რაც „თავდადებული მრავალმხრივი მუშაობის“ შედეგია. შემდეგ ირაკლი ღარიბაშვილმა ისაუბრა მიღწევების შესახებ იმ საიმიგრაციო და საერთაშორისო ინფრასტრუქტურის პროექტების სფეროებში, რომლებშიც საქართველო მონაწილეობს:

**„მე აქ მინდოდა გამომეყო ჩვენი მთავრობის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი მიღწევა უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში — ესაა შეთანხმების ხელმოწერა ევროკავშირთან ასოცირების შესახებ, რომელმაც ჩვენი მწარმოებლებისთვის გახსნა ევროპული ბაზარი. ამას გარდა, ერთი კვირის წინათ თბილისში შეიძინეს პირველი სატრანზიტო მატარებელი, რომელმაც თურქეთში ჩინეთიდან უნდა მიიტანოს ტვირთი. ამრიგად, საქართველო რეალურად ხდება ახალი დიდი აბრეშუმის გზის მნიშვნელოვანი რგოლი, რომელიც ერთმანეთს უერთებს ორ უდიდეს მსოფლიო ბაზარს — ჩინეთსა და ევროპას. ჩვენი ქვეყანა თავისუფლად ივაჭრებს როგორც ევროკავშირთან, ისე ჩინეთთან. ჩვენ ასევე ვავითარებთ ვაჭრობას დსთ-ს ქვეყნებთან, რუსეთთან, თურქეთთან. ეს არის რეალობა, ეს არის ჩვენი ის რეალური ფუნქცია, რომელიც უნდა შევასრულოთ“.**

მთლიანად „ქართული ოცნების“ მართვის სამი წლის მიღწევების შესახებ პრემიერ-მინისტრი საათ-ნახევარი ლაპარაკობდა. მან ისაუბრა ინვესტიციების ზრდის შესახებ, უმუშევრობის შემცირების შესახებ 2,6 პროცენტით. და იმის შესახებ, რომ უკანასკნელი წლის განმავლობაში ქვეყანაში გაიხსნა 130 ახალი საწარმო. ამას გარდა, ღარიბაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ქართული ოცნების“ მართვის პერიოდში პენსიების ოდენობა ქვეყანაში საშუალოდ 80 ლარით გაიზარდა. დაგვიპირდა, რომ ასევე 80, თუმცა პროცენტით გაიზრდება უახლოეს პერიოდში მასწავლებელთა ხელფასები.

**„ზოგიერთი ჩვენი ოპონენტი გვარიგებს, რომ სოციალურმა ხარჯებმა ვერ გაამართლეს და რომ ისინი მიგვიყვანენ ეკონომიკურ პრობლემებამდე. უბრალო ხალხში ასეთი განცხადებები მხოლოდ ღიმილს იწვევს. ჩვენ გამოვყოფთ სახსრებს სოციალური საჭიროებისათვის მხოლოდ იმიტომ, რომ პასუხისმგებლები ვართ ხალხის წინაშე“,** — აღნიშნა ღარიბაშვილმა.

ოპონენტების მისამართით კრიტიკაზე უსწრაფესი რეაგირება გააკეთეს ყოფილ მმართველ პარტიაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“. პარტიის ერთ-ერთი ლიდერი გიგა ბოკერია ამბობს:

**„ისინი ლაპარაკობენ არა იმის შესახებ თუ კონკრეტულად როგორ გამოიყვანონ ქვეყანა კრიზისიდან, რომელიც სულ უფრო ძლიერი ხდება, ისინი მხოლოდ თავის ქებით არიან დაკავებული, უარყოფენ ყველა რეალურ პრობლემებს, და თავიანთ ამ პიარს ახმარენ გადასახადების გადამხდელების ფულს“.**

ასეთ აზრს ნაწილობით ეთანხმება ქართველი პოლიტოლოგი გია ხუხაშვილი, მაგრამ შეგვახსენებს, რომ ამგვარი თავმოყვარეობა დამახასიათებელია არა მხოლოდ ამჟამინდელი ხელისუფლებისათვის, არამედ ის წინა ხელისუფლებისთვისაც იყო დამახასიათებელი.

**„საბოლოოდ, ეს ანგარიში გამოიწვევს კიდევ მეტ გაღიზიანებას მოსახლეობაში, ვინაიდან ერთგვარი „არაადეკვატურობა“ უკვე სახეზეა. რასაკვირველია, მე არ ვსაუბრობ, რომ ხელისუფლებას არაფერი კარგი არ გაუკეთებია, რასაკვირველია, მათ აქვთ მიღწევები და წარმატებები. მაგრამ საქმე ისაა, რომ მთავრობა არსებობს იმისთვის, რომ გადაწყვიტოს პრობლემები და ისაუბროს მათ შესახებ. არც ისე კარგადაა ჩვენთან საქმე, რომ მხოლოდ მიღწევებზე ისაუბრო. მაგრამ ჩვენი პოლიტიკოსებისათვის ეს დამახასიათებელია“.**

ამ დროს პრემიერ-მინისტრი საუბრობდა მომავალი გეგმების, მიზნებისა და პრიორიტეტების შესახებ, რომლებსაც მთავრობა ისახავს. ერთ-ერთ ასეთ მიზნად ღარიბაშვილმა დაასახელა ურთიერთობათა მოწესრიგება აფხაზებთან და ოსებთან.

**„ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ გავააქტიუროთ ურთიერთობანი ჩვენ აფხაზ და ოს ძმებთან, აღვადგინოთ ნდობა, ჩვენი მიზანია, რომ საბოლოო ჯამში ქვეყანა გახდეს მიმზიდველი აფხაზებისა და ოსებისთვის. მჯერა, რომ დემოკრატიის გაძლიერება საქართველოში, ეკონომიკური განვითარება, თვითრეალიზაციის შესაძლებლობა, პოლიტიკური თავისუფლება, ჩვენი იდენტურობის დაცვა — არის გზა ჩვენი ქვეყნის გაერთიანებისათვის აფხაზ და ოს ძმებთან ერთიანობის აღდგენისათვის“,** — ამბობდა ღარიბაშვილი, მან თავი შეიკავა საუბრებისაგან მიღწევების შესახებ ურთიერთობათა მოწესრიგების პროცესში.

ქართველი პოლიტოლოგი ირაკლი ცქიტიშვილი მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში მიღწევებით ტრაბახი არ შეიძლება: **„არანაირი თვალსაჩინო მოძრაობა წინ არ არის. იმავე ჟენევის დისკუსიებში არ არის მიღწეული არანაირი მნიშვნელოვანი შეთანხმება, შეიძლება ითქვას, რომ სამი წელიწადი ამაოდ დაიკარგა. ასევე არანაირი შედეგი არა გვაქვს კონტაქტების მოწესრიგებაში სოხუმელ და ცხინვალელ დე ფაქტო ხელისუფლებებთან. შეიძლება ითქვას, რომ ჯერჯერობით ინერციით გრძელდება ის პროცესები და პროექტები, რომელთა დასაწყისიც იყო საქართველოში ხელისუფლების შეცვლამდე. მაგალითად, სამედიცინო დახმარების გაწევა ოკუპირებული რეგიონების მცხოვრებლებისათვის“.**

საქართველოს რეგიონების ოკუპაციაზე საუბრის დროს პრემიერ-მინისტრმა კვლავ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ხელისუფლება შეეცდება ქვეყნის გაერთიანებას მხოლოდ მშვიდობიანი გზით. ამ დროს ღარიბაშვილმა აღნიშნა, რომ საქართველოს ხელისუფლება გააგრძელებს „პრაგმატულ პოლიტიკას“ რუსეთთან დაკავშირებით, თუმცა, აღნიშნა, რომ თბილისი ამასვე ელოდება მოსკოვისაგანაც. ამის შემდეგ ღარიბაშვილმა ისაუბრა ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის გაძლიერებაზე, აღნიშნა, რომ ეს პროცესი მიმართულია არა ვინმეს წინააღმდეგ კონკრეტულად, არამედ მიზნად ისახავს სახელმწიფო დაცვას.

**როდესაც გამოსვლას აჯამებდა, ირაკლი ღარიბაშვილმა განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა საქართველოს სამხედრო მოსამსახურეებსა და პოლიციას, აგრეთვე ევროპელ და ამერიკელ პარტნიორებს ამ სფეროში.**

Эхо Кавказа

## უარი — ევროპასთან ინტეგრაციას!

# ილჰამ ალიევი: ჩვენ მშვენივრად ვიცხოვრებთ ევროპის საბჭოს გარეშე!

— ასეთი განცხადება გააკეთა აზერბაიჯანის პრეზიდენტმა მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე.

**„დაფიქრდით, როცა თქვენ საუბრობთ ამაზე. პირველ რიგში თქვენ უნდა იცოდეთ პრეზიდენტის პოზიცია. მეორე რიგში, გჭირდებათ თუ არა ეს ინტეგრაცია? რა რანგში უნდათ აზერბაიჯანის მიღება იქ? როგორც მეორეხარისხოვანი წევრის, ასოცირებული წევრის თუ როგორც გვერდიდან მიმაგრებული ქვეყნის? ასეთი ფორმატი ჩვენ არ გვინდა. სადაც საჭირო იყო, ჩვენ ინტეგრაცია მოვახდინეთ. გავაკეთეთ ეს იმ წლებში, როცა ვითარება ევროპაში სხვაგვარი იყო. ვთვლი, რომ თუკი დღეს, არსებული ვითარების გათვალისწინებით ჩვენ გადაწყვეტილების მიღება მოგვიწევდა, შესაძლოა, არც შევსულიყავით ევროპის საბჭოში. რამდენჯერ შეიძლება აზერბაიჯანის შეურაცხყოფა? როდემდე შეიძლება ჩვენი დამცირების მცდელობა? ჩვენი მოთმინების ფიალა აივსო“,** — ამბობს ალიევი.



აზერბაიჯანის პრეზიდენტის ადრესატი საინფორმაციო სააგენტო „პირველის“ თქმით, დასავლელი პოლიტიკოსები არიან, კონკრეტულად — ევროპარლამენტის პრეზიდენტი მარტინ შულცი და მისი მოადგილე ულრიკ ლუნაჩეკი. ალიევმა სახელმწიფო მოხელეებისგან მოითხოვა, შეწყვიტონ განცხადებები იმის თაობაზე, რომ აზერბაიჯანს ევროპაში ინტეგრაცია სურს.

აზერბაიჯანელი ანალიტიკოსები თვლიან, რომ სახელმწიფოს მეთაურმა კიდევ ერთხელ მიახვედრა მსოფლიო, რომ ბაქოს მიერ განხორციელებული პოლიტიკა აზერბაიჯანის ნაციონალურ ინტერესებზეა აგებული და ის თავად გადაწყვეტს რომელ გაერთიანებაში შევიდეს.

**„აზერბაიჯანთან დიქტატის ენით საუბარი არ შეიძლება, აზერბაიჯანთან შეიძლება მეგობრობა და პარტნიორობა“,**— აცხადებს ალიევი. (PIA.GE)

## დედამიწის ზურგზე



**გადაწყვეტილება რუსეთის წინააღმდეგ ევროკავშირის სანქციების გაგრძელების შესახებ კიდევ ნახევარი წლით ძალაში შევიდა**

როგორც წინა დღით იუწყებოდნენ, გადაწყვეტილება ანტირუსული სანქციების გახანგრძლივების შესახებ შეათანხმა ევროკავშირის საბჭომ. ცნობაში მითითებულია, რომ გადაწყვეტილება მიღებულია იმ გაგებასთან დაკავშირებით, რომ მინსკის შეთანხმებანი უკრაინის კრიზისის მოწესრიგების შესახებ არ იქნება მთლიანად შესრულებული 2015 წლის 31 დეკემბრამდე.

* * *

**პოლონეთში დააკავეს ვანდალი, რომელმაც საბჭოთა სასაფლაოზე 11 ძეგლი დააზიანა**




მომხდარის ადგილზე პოლიციამ 37 წლის მამაკაცი დააკავა, რომელიც ცდილობდა გაენადგურებინა საფლავის მორიგი ქვა. ვანდალი იქცეოდა მეტად აგრესიულად, შეურაცხყოფას აყენებდა პოლიციელებს და თავსაც კი დაესხა მათ.

* * *

**იაპონიის მთებში დაიღუპა სახელგანთქმული ალპინისტი ქალი, პრემია „ოქროს ყინულმჭრელის“ ლაურეატი**

43 წლის ალპინისტი ქალი 4-კაციანი ჯგუფის შემადგენლობით ადიოდა მთებზე. ორშაბათს ერთ-ერთი მწვერვალის რაიონში მან გაწყვიტა კავშირი თანამეგობრებთან, წავიდა მარტო და დაიკარგა. მის საძებნელად გაიგზავნა პოლიციის რაზმი, აგრეთვე მოხალისე ალპინისტები და სამხედრო შვეულმფრენი.

* * *

**აშშ-ში გაუშვეს FALCON9: ორბიტაზე 11 თანამგზავრი გაიყვანეს, პირველად წარმატებით დასვეს რაკეტის პირველი საფეხური**

როგორც ცნობილი გახდა, კომპანია SpacaX -მ პირველად შეძლო მართული თანამგზავრის დაშვება დედამიწაზე პირველი მრავალჯერადი რაკეტამზიდის საფეხურებით. წინა ორი მცდელობა, შეენარჩუნებინათ საფეხურები, წარუმატებელი გამოდგა. რაკეტა Falcon -მ სტარტი აიღო კოსმოდრომიდან კანავერალის კონცხზე (ფლორიდის შტატი).

* * *

**პუტინმა მსოფლიო ლიდერების პოპულარობის რეიტინგში მერვე ადგილი დაიკავა, გაუსწრო მხოლოდ ირანისა და საუდის არაბეთის ხელმძღვანელებს**

Cailup Intermational-ის მონაცემებით, პუტინის მხარდაჭერა რუსეთის შიგნით განუხრელად იზრდება, თუმცა მსოფლიო არენაზე მისი პოპულარობა ეცემა. ყველაზე პოპულარული პრეზიდენტი აღმოჩნდა ბარაკ ობამა, რომელიც, პირიქით, შეერთებული შტატების შიგნით მასობრივ კრიტიკას აწყდება.

* * *

**დონეცკის ცენტრში ავტობუსის გაჩერებაზე გაისმა ძლიერი აფეთქების ხმა**

აფეთქება მოხდა დონეცკის ცენტრში საცხოვრებელი მასივების მახლობლად. დონეცკის სახალხო რესპუბლიკის ხელისუფლებამ მომხდარი შეაფასა როგორც ტერორისტული აქტი, რომელშიც მონაწილეობა შეიძლებოდა მიეღო რესპუბლიკაში მოქმედ დივერსიულ ჯგუფს. მონაცემები მსხვერპლისა და დაზიანებულების შესახებ ამ მომენტამდე არაა ცნობილი.

# მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

**საქართველო**

## აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტი

**კრედიტის/სესხის №** IDA5245-GE; IBRD 8263-GE
**პროექტის N** P130413

**დავალების სახელწოდება:** E-60 ჩქაროსნული მაგისტრალის (ნატახტარი-რუისის დასრულებულ მონაკვეთზე) გარემოს გაუმჯობესების ღონისძიებების სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობის განსახორციელება.

**კონტრაქტი/ RFP #** EWHIP-4/CS/CQS-04
**საიდენტიფიკაციო #** EWHIP-4/CS/CQS-04

საქართველომ მსოფლიო ბანკს მიმართა **აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის გაუმჯობესების მეოთხე პროექტის** დასაფინანსებლად. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში საკონსულტაციო მომსახურების ღირებულების ასანაზღაურებლად.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი აღნიშნული მომსახურების გასაწევად ინტერესის გამოხატვისთვის იწვევს უფლებამოსილ საკონსულტაციო კომპანიებს (კონსულტანტებს) შემდეგი საკონსულტაციო მომსახურების ("მომსახურება") გასაწევად: **E-60 ჩქაროსნული მაგისტრალის (ნატახტარი-რუისის დასრულებულ მონაკვეთზე) გარემოს გაუმჯობესების ღონისძიებების სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელება.**

საკონსულტაციო მომსახურების სავარაუდო ხანგრძლივობაა 5 თვე, რასაც ემატება 24-თვიანი დეფექტების გამოსწორების პერიოდი. დეფექტების გამოსწორების 2-წლიანი პერიოდის განმავლობაში კონსულტანტი იმუშავებს არასრული დატვირთვით, რათა უზრუნველყოს განხორციელებული სამუშაოების ხარისხის შენარჩუნება და ახალი ნარგავების სათანადო მოვლა–შენახვა.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონ მომსახურების გასაწევად საჭირო გამოცდილებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი ინფორმაცია. ინტერესთა გამოხატვის წერილს თან უნდა დაერთოს შემდეგი: კონსულტანტის კორპორატიული პროფაილი და შესაბამისი გამოცდილება დავალებასთან მიმართებაში. ასევე, წარმოდგენილ უნდა იქნეს იმ თანამშრომელთა მოკლე შრომითი ბიოგრაფიები (CV), რომლებიც შემოთავაზებულია დავალების შესასრულებლად და გააჩნიათ შესაბამისი კვალიფიკაცია და გამოცდილება.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების – „მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუცქიისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]" (2011 წლის იანვრის გამოცემა, "კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები") – 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გთხოვთ გაითვალისწინოთ ქვემოთ მოცემული სპეციფიკური ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს: კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი ფილიალების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იზღუდება მომავალში კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მომსახურებებში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია ფირმის საკონსულტაციო მომსახურებებთან ინსტრუქციების 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

კონსულტანტებს შეუძლიათ გაერთიანდნენ კვალიფიკაციის გაუმჯობესების მიზნით. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მსოფლიო ბანკისთვის მისაღები გაერთიანების ფორმაა ან ქვე-კონსულტანტი ან ერთობლივი საწარმო. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნათლად უნდა იყოს მითითებული ასოციაციის სახე. ქვე-კონსულტანტების გამოცდილება არ იქნება გათვალისწინებული კომპანიის კორპორატიული გამოცდილების შეფასების დროს. დავალების შესაბამისი პროექტების განხორციელების გამოცდილება წარმოდგენილ უნდა იქნას 1 ფორმის სახით, რომელიც განთავსებულია საავტომობილო გზების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე www.georoad.ge შემდეგ ბმულზე:
http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1391090819

კონსულტანტი შერჩეული იქნება შემდეგი საკვალიფიკაციო კრიტერიმების მიხედვით:

- ფირმის ზოგადი გამოცდილება:
- ფირმის სპეციფიური გამოცდილება ბოლო 5 წლის განმავლობაში მშენებლობის/რეაბილიტაციის სამუშაოების ზედამხედველობაში (დავალებები დასრულებული 2011 წელს ან მას შემდეგ).

კონსულტანტების მიერ წარმოდგენილი ინტერესის გამოხატვა არ უნდა აღემატებოდეს 20 გვერდს. დანართის სახით შესაძლებელია კომპანიის ბროშურის წარმოდგენა, რაზეც გვერდების რაოდენობის შეზღუდვა არ ვრცელდება.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება კონსულტანტის კვალიფიკაციაზე დაყრდნობით შერჩევის მეთოდით მსოფლიო ბანკის ინსტრუქციებით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად: მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება, 2011 წლის იანვარი, განახლებული 2014 წლის ივლისში. წარმოდგენილი ინტერესთა გამოხატვების საფუძველზე, შედგენილი იქნება მოკლე სია და ყველაზე მაღალი შეფასების მქონე კონსულტანტს ეთხოვება ტექნიკური და ფინანსური წინადადების წარმოდგენა.

კონსულტანტის შერჩევის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

დაინტერესებულ კონსულტანტებს უნდა გააჩნდეთ გარემოს გაუმჯობესების ღონისძიებების სამუშაოებზე ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების გამოცდილება.

დაინტერესებულ კონსულტანტებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ იმეილზე: info@georoad.ge

ინტერესის გამოხატვა წერილობითი სახით წარმოდგენილ უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე (პირადად, ფოსტის, ფაქსის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით) არა უგვიანეს **2016 წლის 12 იანვრის 17:00 საათისა.**

სახელი: ვახტანგ რაზმაძე
პოზიცია: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო პროექტების დეპარტამენტის უფროსი.
მისამართი: საქართველო, თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზირი №12
ელექტრონული ფოსტა: info@georoad.ge
ვებ-გვერდი: www.georoad.ge

# REQUEST FOR EXPRESSIONS OF INTEREST

**Georgia**

## Forth East-West Highway Improvement Project

**Credit/Loan No. IDA5245-GE; IBRD 8263-GE**
**Project No.** P130413

**Assignment Title:** Supervision and Quality Assurance Services for Environmental Improvement Measures along completed section on the existing E-60 Highway, between Natakhtari and Ruisi

**Contract/RFP No:** EWHIP-4/CS/CQS-04
**Reference No.** EWHIP-4/CS/CQS-04

Georgia has received financing from the World Bank towards the cost of the **Forth East-West Highway Improvement Project** and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites eligible consultants to express their interest in providing the following services: **"Supervision and Quality Assurance Services for Environmental Improvement Measures along completed section on the existing E-60 Highway, between Natakhtari and Ruisi"**.

Estimated duration of assignment is 5 months (plus 24-month period when the Consultant effort will be focusing only on the improvement of defects during the defect liability period). During the 2-year defect liability period, the Consultant will continue working on a part-time basis to assure quality of activities performed to meet outstanding liabilities and adequacy of maintenance of the young tree plantations.

Interested companies shall provide information demonstrating that they have the necessary experience to perform the aforesaid services. Expressions of interest should cover, but not limited to: Experience relevant to the project activities, key staff resources and qualification, corporate profile. They shall include brief CVs of the personnel, who are proposed for the assignment to confirm they have relevant qualification and experience.

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank's *Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers*, January 2011 ("Consultant Guidelines"), setting forth the World Bank's policy on conflict of interest. In addition, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the firm's consulting services in accordance with the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.

Consultants may form an association (***Please take into account that form of association acceptable for the World Bank is either sub-consultancy or Joint-Venture and submission must clearly indicate the nature of the association***) to enhance their qualifications. The experience of sub-consultants will not be taken into account while evaluating the corporate experience of the company. Experience in the projects relevant to the assignment should be submitted in the Form N1 uploaded at Roads Department website on www.georoad.ge on the following link:
http://www.georoad.ge/?lang=geo&act=tenders&func=menu&uid=1391090819

The Consultant will be selected using the following evaluation criteria:

General Experience of the firm;
Similar experience in Supervision of Construction/rehabilitation Assignments during last 5 years (assignments completed in or after 2011);

The consultants are strongly advised to limit their Expression of Interest to 20 pages. Company brochures may be included as an Annex, and will not be affected by the limit of 20 pages.

A consultant will be selected in accordance with the "Consultant's Qualification Selection" procedures set out in World Bank's *Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers*, January 2011, revised in July 2014 ("Consultant Guidelines"). On the basis of submitted Expressions of Interest, a short-list will be established and highest ranked consultant will be requested to submit technical and financial proposal.

**Required Qualification of the Consultant:**

The Consultant must have experience in Supervision and Quality Assurance Services for Environmental Improvement Measures.

Interested consultants may obtain further information at the address: i

Expressions of Interest electronically or in printed materials must be delivered to the address below not later than **January 12, 2016, 17:00 hours.**

Name: Vakhtang Razmadze
Position: Head of Foreign Projects Department of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia
Email: info@georoad.ge
Web-Site: www.georoad.ge

ტყვიის სროლა




# დედა-შვილი — პირველ საფეხურზე

**გაისად თებერვალში უნგრული გიორი ტყვიის მსროლელთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. ამ შეჯიბრებისთვის მზადების ერთ-ერთ ეტაპს წარმოადგენდა საქართველოს ჩემპიონატი პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში, რომელიც ნინო სალუქვაძის ტირში გაიმართა.**

ქალთა შორის 578 ქულით ნინო სალუქვაძემ გაიმარჯვა. ჩემპიონს 4-4 ქულით ჩამორჩნენ ქუთაისელები — ნინო ხუციბერიძე და მარიამ ჩაგანავა, რომლებმაც მეორე-მესამე ადგილები გაიყვეს, თუმცა, დამატებითი მაჩვენებლებით „ვერცხლი" ხუციბერიძეს ერგო. რიონისპირელთა ლიდერი ლიზი კილაძე (373) მეოთხე ადგილს დასჯერდა.

ვაჟებში პირველი ადგილი ნინო სალუქვაძის შვილმა ცოტნე მაჭავარიანმა (572) დაიკავა, ხოლო მეორე-მესამე ადგილებზე ვლადიმერ მაიოროვი (566) და ლევან ქადაგიძე (561) გავიდნენ.

**გივი გაგუა**

**სურათზე:** ნინო სალუქვაძე და ცოტნე მაჭავარიანი.
**ვაჟა დანელიას** ფოტო.

ჩოგბურთი

# განახლებული რეიტინგებით

**წინა კვირის შედეგების გათვალისწინებით ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ასოციაციამ განახლებული რეიტინგები გამოაქვეყნა. ერთეულებში საუკეთესო ასეულს 9945 ქულით უწინდებურად სერენა უილიამსი (აშშ) უდგას სათავეში.** ათეულში შემდეგ მოდიან: სიმონა ჰალეპი (რუმინეთი, 6060), გარბი მუგურუსა (ესპანეთი, 5200), მარია შარაპოვა (რუსეთი, 5011), აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი, 4500), პეტ-



რა კვიტოვა (ჩეხეთი, 4220), ვენუს უილიამსი (აშშ, 3790), ფლავია პენეტა (იტალია, 3621), ლუსი საფაროვა (ჩეხეთი, 3590), ანჟელიკ კერბერი (გერმანია, 3590).

ქართველთა მაჩვენებლები ასეთია: 221 (207). სოფიო შაფათავა (229), 371 (384). ეკატერინე გორგოძე (99), 379 (383). სოფიო ქვაცაბაია (96), 468 (467). მარიამ ბოლქვაძე (63), 656 (653). ოქსანა კალაშნიკოვა (30), 772 (773). თინათინ ყავლაშვილი (20), 1098 (1094). თამარ ჭალაგანიძე (7), 1207 (1202). ანა შანიძე (4).

წყვილთა ათეულის სათავეშია ინდოელი სანია მირზა (11355). ჩვენებურთაგან ასეულში ინარჩუნებს ადგილს ოქსანა კალაშნიკოვა — 1080 ქულით იგი 70-ეა. 137 (137). შაფათავა (492), 188 (159). გორგოძე (349), 358 (357). ქვაცაბაია (141), 675 (673). ბოლქვაძე, (45), 778 (779). ყავლაშვილი (30), 1111 (1113). ანა ახალკაცი (11), 1111 (1113). შანიძე (11), 1184 (1185). ჭალაგანიძე (9).

მიმდინარე კვირას ქართველთაგან მხოლოდ ეკატერინე გორგოძე და სოფიო ქვაცაბაია იმყოფებიან უცხოეთში - ანტალიის ქალთა 10.000-იან შეჯიბრებაში ითამაშებენ. ისინი შეჯიბრებაში მეორე წრიდან ჩაებმებიან.

**ლექსო ცინცაძე**

ბედისწერა

# კაცი, რომელიც დაგვაკლდა ყველას

**ღრმა მწუხარებას გამოვხატავთ დავით პეტრიაშვილის გარდაცვალების გამო. ამ მძიმე წუთებში, როდესაც ყველანი მომხდარი ტრაგედიის გამო ვგლოვობთ, გვსურს გავიხსენოთ მისი ღვაწლი ქართული საფეხბურთო ოჯახისა და ქვეყნის წინაშე.**

დავით პეტრიაშვილი თანამედროვე ქართული ფეხბურთის გამორჩეული სახე, წარმატებისა და პროფესიონალიზმის სიმბოლო იყო. 21 დეკემბერს თბილისში მომხდარმა ტრაგედიამ, რომელმაც იგი 46 წლის ასაკში იმსხვერპლა, დაამწუხრა ქართული და სრულიად ევროპული საფეხბურთო სამყარო. უეფას წევრი ნაციონალური საფეხბურთო ასოციაციების წარმომადგენლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ მისი ტრაგიკული გარდაცვალების გამო.



წლების წინ „პეტროს" საფეხბურთო კარიერა ფეხბურთის ფედერაციაში დაიწყო. შემდეგ იყო თბილისის „დინამო", უეფას დელეგატის პოზიცია, ბოლო რამდენიმე წელი კი დავით პეტრიაშვილი უეფას ნაციონალური ასოციაციების დეპარტამენტში ჰეთ-თრიკის პროგრამის მენეჯერის პოზიციაზე მუშაობდა.

იგი ყოველთვის იყო ქართული ფეხბურთის მხარდამჭერი, საქართველოს ელჩი უეფაში, რომელიც ძალ-ღონეს არ იშურებდა ქართული ფეხბურთის წინსვლისა და განვითარებისათვის.

გვინდა სამძიმრის სიტყვები ვუთხრათ დავით პეტრიაშვილის ოჯახს, მის მეგობრებსა და ახლობლებს. ჩვენთვის, ისევე როგორც მათთვის, ეს უდიდესი განსაცდელია.

ამ ტრაგედიის გამო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ წლის ბოლომდე დაგეგმილი ყველა ღონისძიება გაუქმებულია.

**უეფას ეროვნულ ფედერაციებთან ურთიერთობის დეპარტამენტის მენეჯერი დავით პეტრიაშვილი საპატრულო პოლიციის ეკიპაჟის დაჯახების შედეგად გარდაიცვალა.**

**აღნიშნული ინფორმაცია „ინტერპრესნიუსს" საქართველოს მთავარ პროკურატურაში დაუდასტურეს. არსებული ინფორმაციით, შემთხვევა 21 დეკემბრის გამთენიისას პეკინისა და ბახტრიონის ქუჩების კვეთაზე მოხდა. პეტრიაშვილი ქვეითად გზაზე გადადიოდა, რა დროსაც საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი დაეჯახა.**

**საქმეს მთავარი პროკურატურა იძიებს. ძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეხუთე ნაწილით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევას, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია. პროკურატურის პრესსამსახურის თქმით, გამოძიებას ამ დროისთვის არავინ დაუკავებია.**

**დავით პეტრიაშვილს მნიშვნელოვანი თანამდებობები ეკავა როგორც ქართულ ფეხბურთში, ისე უცხოურში. პეტრიაშვილი იკავებდა უეფას და ფიფას მატჩების დირექტორის თანამდებობას, იყო მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების საორგანიზაციო კომიტეტის წევრი და თბილისის „დინამოს" ყოფილი მმართველი დირექტორი, ხოლო 2002 წელს — სფფ-ს პრეზიდენტობის კანდიდატი..**

**გიორგი შოთაძე**

მადლიერება

# სანიკიძე კოკოშკოვის განცხადებას გამოეხმაურა

**საქართველოს ეროვნული საკალათბურთო ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი ვიქტორ სანიკიძე გუნდის მთავარი მწვრთნელის იგორ კოკოშკოვის განცხადებას გამოეხმაურა. შეგახსენებთ, რომ სერბმა სპეციალისტმა ქართულ საკალათბურთო საზოგადოებას ღია წერილით მიმართა, რაც იმის წინაპირობად უნდა მივიჩნიოთ, რომ საქართველოს ნაკრების დატოვებას აპირებს.**




„ძვირფასო იგორ! მინდა მადლობა გადაგიხადოთ ყველაფრისთვის, რაც თქვენ პირადად ჩემთვის, ეროვნული ნაკრებისთვის და საქართველოსთვის გააკეთეთ. თქვენი შრომა ყოველთვის დაფასებული იქნება ქართული კალათბურთის და სპორტის ისტორიაში! თქვენ დიდი მწვრთნელი და რაც ჩემთვის უფრო მეტად მნიშვნელოვანია, დიდებული პიროვნება ბრძანდებით, ერთ-ერთი ყველაზე სასიამოვნო ადამიანი, ვისაც კი შევხვედრივარ! წარმატებებს გისურვებთ!, — ნათქვამია მიმართვაში, რომელიც სანიკიძემ ფეისბუქის ოფიციალურ გვერდზე გამოაქვეყნა.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ინტერნეტიდან

# დაშხოშიანი სუზი კორტესი

**მას შემდეგ, რაც ბრაზილიელი გავაგანიერი ასული სუზი კორტესი თავისმა დიადმა უკანალმა უპოპულარულესი გახადა და კონკურს „მის ბუმ-ბუმში" გაამარჯვებინა, ქალბატონი სუზი ერთობ გამორჩეული ქალი შეიქმნა და ახლა ბულვარულ მედიას მისი სხეულის ორგანოების გარდა ისიც აინტერესებს, თუ რომელ საფეხბურთო კლუბს ქომაგობს.**



როგორც სუზი კორტესი ამბობს, მას ბავშვობიდან ერთადერთი საფეხბურთო კლუბი „სან პაულუ" უყვარს და თავს სწორედ ამ გუნდის თილისმად რაცხს. როდესაც „სან პაულუს" ბოსებმა სუზის ქომაგობის ამბავი შეიტყვეს, ბუკსა და ნაღარას ჰკრეს და ყველას საჯაროდ ამცნეს — აი ნახეთ, თურმე, რა ქალსა ვყვარებივართო...

ვისაც სუზი კორტესი ერთი ჩვეულებრივი „მედლეხვალიობაზე" თავგადადებული გოგო ჰგონია, ნამეტნავად შემცდარა. ამ ქალს საკმაოდ დიდი და შორსმიმავალი გეგმები ჰქონია და როგორც იძახის — მხოლოდ „მის ბუმ-ბუმობა" რას მიქვია, მე ქალი არ ვიყო, თუ მთელს მსოფლიოს ჩემი დაშხოშიანი სხეული არ ვაჩვენოო. ამბობს და ასრულებს კიდეც!

**როსტომ რაჭველიშვილი**

საგულისყუროა!

# ფულო, საიდან მოდიხარ?

## ძირითადი განსხვავებები მდიდარსა და ღარიბს შორის

**სიმდიდრე — ეს არჩევანია, რომელსაც ადამიანები აკეთებენ. როგორც ბილ გეითსმა თქვა, თქვენი ბრალი არ არის თუ ღარიბად დაიბადეთ, მაგრამ თქვენი ბრალია თუ ღარიბი მოკვდებით. არ არსებობს არანაირი მიზეზი, რომ აუცილებლად ღარიბი იყოთ, სიმდიდრე გელოდებათ, მაგრამ მის მისაღებად თქვენ უნდა შეცვალოთ თქვენი გონება და დამოკიდებულება.**

**წარმოგიდგენთ იმ ადამიანის შეფასებებს, რომელიც დაიბადა სიღარიბეში და 24 წლის ასაკში პირველი მილიონის მფლობელი გახდა. მისი განმარტებით, მდიდრებსა და ღარიბებს შორის 9 შემდეგი განსხვავებაა:**

**1. ღარიბი ადამიანი სკეპტიკურაა განწყობილი**

ღარიბი ადამიანები ყოველთვის ეძებენ რამე საეჭვოს. ისინი ფიქრობენ, რომ მათ გარშემო უარყოფითი მოვლენები ხდება. ისინი გარშემომყოფებში მტრებს ხედავენ.

**მდიდარი ადამიანი რწმენით სავსეა**

წარმოუდგენელია, მაგრამ მდიდარი ადამიანები ხშირად ღიას ტოვებენ სახლის თუ მანქანის კარს. მათ აქვთ მიდრეკილება, რომ ენდონონ გარშემომყოფთ. ისინი შესაძლებლობას აძლევენ გარშემომყოფებს, ერთად განვითარდნენ.

**2. ღარიბი ადამიანი ეძებს დამნაშავეს**

ღარიბი ადამიანი უმეტეს შემთხვევაში ეძებს მიზეზს და პრობლემას და არა მათი გადაჭრის გზებს. ისინი ყველას და ყველაფერს ადანაშაულებენ საკუთარ წარუმატებლობაში, გარდა საკუთარი თავისა.



**მდიდარი ადამიანი ეძებს წარმატებას**

მდიდარ ადამიანს ესმის, რომ ყველაფერს თავისი მიზეზი აქვს. იმის ნაცვლად, რომ ცხოვრებას მისცენ საშუალება, წარმართოს მათი ცხოვრება, თავადვე წერენ სცენარს, თუ როგორი უნდა იყოს ეს ცხოვრება. ისინი ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ გადაჭრან პრობლემები, მიზეზების მიუხედავად.

**3. ღარიბი ადამიანი ვარაუდობს**

რეალობის და ფაქტების წინაშე მდგომი ღარიბი ადამიანი ვარაუდების გაკეთებას იწყებს. მაგალითისთვის: თუ მას სჭირდება, რომ შეხვდეს ცნობილ, პოპულარულ ადამიანს, ღარიბი იწყებს ფიქრს, რომ ის სავარაუდოდ მოუცლელია, ვერ იპოვის მასთან შეხვედრის დროს, უარს იტყვის შეხვედრაზე... იმის ნაცვლად, რომ შეამოწმოს ეს ვარაუდი, ან დასვას კითხვები, ის არასდროს ცდილობს ნადვილად მიიღოს ის, რაც უნდა.

**მდიდარი ადამიანი სვამს კითხვებს**

ბევრი მდიდარი ადამიანი სვამს კითხვას: „რა მოხდება თუ? ". თუ თქვენ დაიწყებთ კითხვების დასმას, მიიღებთ პასუხებს და უმეტესად იმგვარს, როგორიც გაწყობთ. ძალაუფლება მათ ხელშია, ვინც სწორ კითხვებს სვამს.

**4. ღარიბი ადამიანი ამბობს — ის", „ისინი"**

ტბილეულის მაღაზიაში მომუშავე რეგისტრატორი ქალბატონი ამბობს: „ამათ არასდროს არ ჰყავთ საკმარისი მოლარეები, არ ვიცი, რა სჭირთ". აშკარაა, ის თავის თავზე არ იღებს იმ კომპანიის საქმეებს, სადაც მუშაობს, არ ფიქრობს, რომ მასაც შეუძლია ხარვეზების გამოსწორება, ინიციატივის გამოჩენა.

**მდიდარი ადამიანი ამბობს — „ჩვენ"**

სიმდიდრე მოდის მაშინ, როცა გჯერათ რასაც აკეთებთ და გჯერათ მათი, ვისთან ერთადაც აკეთებთ.

**5. ღარიბ ადამიანს სურს იაფი გამოსავალი**

თუ დააკვირდებით, ღარიბი ადამიანების უმეტესობა იაფ სამოსს ეძებს. არა იმიტომ, რომ თანხა არ ყოფნით, არამედ იმიტომ, რომ უბრალოდ იაფია, ნაკლების გადახდა უნდათ. ხშირ შემთხვევაში ღარიბი ადამიანი შენაძენს აკეთებს იმიტომ, რომ მასზე დაბალი ფასი დაინახა, და არა იმიტომ, რომ ის სჭირდება.

**მდიდარ ადამიანს სურს საუკეთესო გამოსავალი**

მდიდარი ადამიანი გაივლის დამატებით კილომეტრებს სასურველის მისაღებად. ისინი საკუთარ თავს საუკეთესოს უფლებას აძლევენ და იშვიათად იძენენ იმას, რასაც არ გამოიყენებენ.

**6. ღარიბი ადამიანი ფიქრობს, რომ ფული უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე დრო**

უამრავი ადამიანი კარგავს დროს გარკვეული თანხის მისაღებად. არადა, თქვენ შეიძლება დაკარგული 500 დოლარი უკან მიიღოთ, მაგრამ თქვენ ვერ მიიღებთ დაკარგულ 500 საათს უკან სამწუხაროდ, ბევრი ღარიბი ადამიანი კარგავს დროს მცირე ანაზღაურებისთვის, ამიტომ მათ აღარ რჩებათ დრო სიმდიდრისთვის.

**მდიდარი ადამიანი ფიქრობს, რომ დრო უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე — ფული**

მდიდარი ადამიანები არასდროს კარგავენ დროს ფულისთვის. მათი კარიერა აქცენტირებულია იმაზე თუ რა უყვართ, რა დაეხმარება სხვებს, და არა ფულის ძიებაში.

**7. ღარიბი ადამიანი ძველს იმეორებს**

ეს იმას ნიშნავს, რომ როცა ღარიბი ადამიანი შესაძლებლობას ხედავს, აკვირდება, სხვები რას აკეთებენ ამ დროს, როგორ იქცევიან და ცდილობს იგივე გაიმეოროს. მათ სჯერათ, რომ საუკეთესოა იმის კეთება, რაც სხვებმა უკვე გააკეთეს.

**მდიდარი ადამიანი ახალს ქმნის**

მარტივი მაგალითისთვის, ერთ-ერთმა მდიდარმა ადამიანმა „პორშეს" ახალი მოდელი თავისი გემოვნებით გადაღება. ეს ნიშნავს იმას, რომ მდიდარი ადამიანები ეძებენ სიახლეებს და თავად ქმნიან მათ.

**8. ღარიბი ადამიანი იღებს სამოყვარულო რჩევებს**

ღარიბი ადამიანი თითქმის ყველასგან იღებს რჩევას ყველა საკითხზე. მათ არ უნდათ ამ რჩევების გადამოწმება, ავტორიტეტების მოსმენა, ისინი არ ცდილობენ გამოცდილების მიხედვით მიიღონ რჩევები ადამიანებისგან. უბრალოდ, ყველას უსმენენ და უჯერებენ.

**მდიდარი ადამიანი იღებს ექსპერტის რჩევებს**

მდიდარი ადამიანი მხოლოდ გამოცდილი სპეციალისტის რჩევას ენდობა. ისინი დიდ თანხას არ იშურებენ ამგვარი ადამიანების დაქირავებაში, რადგან იციან, რომ რჩევა — ეს მნიშვნელოვანია, ხოლო გამოცდილი ადამიანის რჩევა — შეუცვლელი.

**9. ღარიბ ადამიანს დიდი ტელევიზორი უდგას**

ღარიბი ადამიანი თავისუფალ დროს ფუჭ გართობას უთმობს.

**მდიდარ ადამიანს აქვს დიდი ბიბლიოთეკა**

მდიდარი ადამიანები არიან განსწავლულნი და, ზოგადად, ბევრ წიგნს კითხულობენ. ისინი მუდმივად ახლის შესწავლაზე არიან ორიენტირებული.

**თუ გსურთ გახდეთ მდიდარი, რა თქმა უნდა, უნდა გაიზიაროთ ის ჩვევები და თვისებები, რაც მათ ახასიათებთ.**

სანთელი

# ბეჟან ქევანიშვილის ხსოვნას

ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ წავიდა ჩვენგან შესანიშნავი ქართველი, საქართველოს ღვაწლმოსილი მოქალაქე, უაღრესად განათლებული, თავისი საქმის გამორჩეული სპეციალისტი, კეთილშობილი, მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული, რაინდული სულის მატარებელი პიროვნება **ბეჟან ქევანიშვილი**.



ბატონი ბეჟანის პროფესიული განათლება, საქმიანი თვისებები, გამორჩეული ერუდიცია, პრაქტიკული თუ მეცნიერული გამოცდილება საწინდარი იყო იმისა, რომ ბატონი ბეჟანი გამორჩეული ავტორიტეტით სარგებლობდა ხის დამუშავების სპეციალისტებს შორის როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს გარეთ. ბატონმა ბეჟანმა არაერთ თანამედროვე, უახლესი ტექნოლოგიური ხაზებით აღჭურვილ ხის დამმუშავებელ საწარმოს ჩაუყარა საფუძველი ჩვენს ქვეყანაში, რომლებიც დღესაც წარმატებით ფუნქციონირებენ და თავიანთი წვლილი შეაქვთ ამ მნიშვნელოვანი დარგის განვითარებაში.

ბეჟან შალვას ძე ქევანიშვილი დაიბადა ქ. თბილისში 1938 წლის 24 მაისს. დაამთავრა თბილისის 55-ე საშუალო სკოლა. 1966 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი სპეციალობით მერქნის (ხის) დამუშავება და ტექნოლოგია.

მისი პროფესიული ცოდნა და მენეჯერული უნარი მკაფიოდ გამოჩნდა ახალდაბის საავეჯო ფაბრიკის მთავარ ინჟინრად მუშაობის დროს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი ხანგრძლივი მუშაობის პერიოდი საქართველოს ხეტყისა და ხის დამმუშავებელი სამინისტროს სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანების განყოფილების უფროსად. ამავე პერიოდში იგი მივლინებული იყო მოსკოვის შესაბამის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში პროფესიული გამოცდილების ურთიერთგაცვლის მიზნით. შედეგად მისი უშუალო ხელმძღვანელობით წარმოებაში დაინერგა მრავალი ახალი წინადადება და მეთოდი, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა წარმოების ეკონომიკა და ხარისხი.

წლების მანძილზე საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში პედაგოგიური მოღვაწეობის დროს იგი ჩვეული ძალისხმევით ეკიდებოდა სტუდენტებთან ურთიერთობას. სიღრმისეულად გადასცემდა მათ ამ მეტად საინტერესო პროფესიას. სწორედ ამის შედეგი იყო მრავალი მისი აღზრდილის შემდგომი პროფესიული წარმატება.

ზემოთ ვახსენეთ ბატონი ბეჟანის მრავალმხრივი ნატურის შესახებ. მართლაც რომ ფართო და მრავალმხრივი იყო მისი ინტერესების სფერო. ალბათ, ამიტომაც გახლდათ იგი გამორჩეულად საინტერესო ადამიანი, შესანიშნავი მოსაუბრე, მომლხენი, მომღერალი, სპორტული ნიჭით დაჯილდოებული, ზღვა იუმორის პატრონი.

აღარ არის ჩვენს შორის ქართული ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენელი, ბაბუა, მამა, მეუღლე, მეგობარი.

განსაკუთრებით არანაკლებ, ვიდრე თავისი ოჯახისათვის, მძიმედ გადასატანია ბეჟანის წასვლა ამ ქვეყნიდან მისი უახლოესი შვიდი ათეული წლის მანძილზე შეზრდილ-შეთვისებული, მრავალი ჭირისა თუ ლხინის თანაზიარი მეგობრებისათვის. დაცარიელდა და აღარასოდეს შეივსება კიდევ ერთი ნიშა ჩვენს სამეგობროში.

გვაპატიე ჩვენო მეგობარო, თუ სათანადოდ ვერ გამოვთქვით სიტყვით ყველაფერი ის, რაც შენს კაცობას შეამკობდა სათანადოდ და რაც ჩვენს გულში ტრიალებს.

მსუბუქი იყოს შენთვის ჩვენო საყვარელო ძმაო, ქართული მიწა.

**ზურაბ ამაშუკელი, ანზორ ახვლედიანი, ჯემალ გოგიჩაძე, ავთანდილ თოდუა, კობა თოიძე, მიხეილ ესაკია, ირაკლი მეგრელაძე, მერაბ ნიკოლაიშვილი, ალექსანდრე მეტრეველი, საბა ჭელიძე, ალექსანდრე ჩხეიძე, თამაზ ჩხიკვაძე.**

**იური ოსიპოვი, ზურაბ კუპრაშვილი და შპს „აგრიკომის" ყველა თანამშრომელი თანაუგრძნობს ჯემალ, გიორგი და ჯანო კვირიკაშვილებს მეუღლის და დედის, ქალბატონი**

**ლიანას**

**გარდაცვალების გამო.**

რეკლამა
293-37-87
მაჩაბლის ქ. №7.

ალინ-ჩალიანი

### კეთილმოწყობილი გზა გეგუთის ტაძრისკენ

**საქართველოს** რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ ილია დარჩიაშვილმა მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელ დირექტორთან ჯუანშერ ბურჭულაძესთან ერთად წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, გეგუთის სასახლესთან მისასვლელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მოინახულა.

500 მეტრის სიგრძის გზა სრულიად ამორტიზებული იყო და მასზე გადაადგილება მოსახლეობას საფრთხეს უქმნიდა. რეაბილიტაციის ფარგლებში მოეწყობა გზის საფუძველი და დაიგება ორფენიანი ასფალტ-ბეტონის საფარი. სამშენებლო სამუშაოებზე 15 ადამიანია დასაქმებული და მათი ძირითადი ნაწილი ადგილობრივი მკვიდრია.

გეგუთის სასახლემდე მისასვლელ გზაზე ასფალტის საფარი არასდროს ყოფილა. პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 134 ათასი ლარია. სამშენებლო სამუშაოები წლის ბოლომდე დასრულდება.

### რა, პრეზიდენტად ნიშნავდა?

**საქართველოს** ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა თაღლითობის ფაქტზე მოქალაქე ოთარ გრიგალაშვილი დააკავა.

საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული ერთ-ერთ მოქალაქეს მოტყუებით დაჰპირდა საჯარო სამსახურში დასაქმებას, რის სანაცვლოდაც მოითხოვა 30 000 აშშ დოლარი. საგამოძიებო სამსახურმა ბრალდებული დააკავა მოთხოვნილი თანხის ნაწილის, 2 000 აშშ დოლარის აღების ფაქტზე.

გამოძიება გრძელდება სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით, რაც 4-დან 7 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

### ამოღებულია 104 შეკვრა ნარკოტიკი

შსს-ს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ხელვაჩაურის რაიონული სამმართველოს და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1982 წელს დაბადებული პაატა ც. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით, სარფის საბაჟო გამშვები პუნქტის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს.



დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, 104 შეკვრად დაფასოებული 20,9625 გრ ნარკოტიკული საშუალება ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 3,312 გრ ჰეროინს შეიცავს. ნარკოლოგიური შემოწმებისას პაატა ც-ს მარიხუანის მოხმარების ფაქტი დაუდგინდა. ბრალდებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

◉ გამოფენა

# „კავკასიური მოძრავი მუზეუმი“




**პირველი ქართველი მესურათხატის ალექსანდრე როინიშვილის სამუზეუმო ნივთების გამოფენა „კავკასიური მოძრავი მუზეუმი“ გაიხსნა 21 დეკემბერს ს.ჯანაშიას სახელობის საქართველოს ეროვნულ მუზეუმში. ამ მეტად ღირსშესანიშნავ ღონისძიებაზე ასევე შედგა უაღრესად საინტერესო წიგნის „ალექსანდრე როინიშვილი და მისი მუზეუმის“ პრეზენტაცია.**

გამოფენაზე წარმოდგენილია მე-19 საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო-კულტურული სფეროს ლენძისა და ვერცხლის ჭურჭელი, მონეტები, არქეოლოგიური და ანტიკვარული ნივთები.

ალექსადრე როინიშვილი (1846-98 წ.წ.), ღარიბი დუშელი ხელოსნის ვაჟიშვილი, თბილისში 14 წლისა ჩამოვიდა და ფერმწერ-ფოტოგრაფ ხლამოვის შეგირდი გახდა. დამოუკიდებელი მოღვაწეობა მან 1865 წელს დაიწყო, საკუთარი ატელიეც გახსნა, თან სიძველეთა შეგროვება დაიწყო. მან სრულიად საქართველო მოიარა, აუარება საყდრის ფრესკები ალბეჭდა ფირზე, ახალი ქართული მატიანეს შექმნა დაიწყო, ხოლო ფოტოგრაფიას ეროვნული იერი შესძინა. 1880 წლიდან მოყოლებული, რვა წელი იგი დაღესტანში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა.



მისი მიზანი იყო ქართული ეროვნული მუზეუმის შექმნა, რისთვისაც ისტორიული და ეთნოგრაფიული ფასეულობის მქონე ნივთებს იძენდა, იკვლევდა მათ წარმომავლობას, აწყობდა კავკასიურ სიძველეთა გამოფენებს. მან უნიკალური „კავკასიის მოძრავი მუზეუმი“ შექმნა, რომლის ექსპონატები ასშექმნა სამამულო ფოტოგრაფიული სკოლა.

გამოფენაზე წარმოდგენილი ნივთები ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს ეროვნულ, შ. ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების, თბილისის ისტორიის (ქარვასლა) და საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმებშია დაცული. მის ფარგლებში გაიმართა წიგნის „ალექსანდრე როინიშვილი და მისი მუზეუმის“ პრეზენტაცია.

ეს უაღრესად შთამბეჭდავი გამოფენა, რომელსაც დედაქალაქის საზოგადოების უამრავი წარმომადგენელი დაესწრო, შესავალი სიტყვით საქართველოს ეროვნული მუზეუმის გე-





გამორჩეული წარმომადგენლის ალექსანდრე როინიშვილის მიერ თავმოყრილი მე-7-მე-19 საუკუნეებით დათარიღებული სამუზეუმო ნივთები. კოლექციაშია დაცული როგორც ისლამური, ასევე კავკასიური (მათ შორის, ცხადია, უწინარესად ქართული), აზიური და ევროპული სამხედრო აღკაზმულობა, საბრძოლო იარაღი, სპიტრახანში, სარატოვში, სამარაში, პეტერბურგსა და მოსკოვში გააცნო ფართო საზოგადოებას.

ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე უაღრესად მრავალმხრივი მოღვაწეობის შედეგად მან ეროვნული კულტურის მრავალ სფეროში შეძლო ძველ ფასეულობათა შენარჩუნება და მათი საზოგადოებაში წარმოჩენა, პირველმა ნერალურმა დირექტორმა **დავით ლორთქიფანიძემ** გახსნა, რომელმაც მოკლედ მიმოიხილა ღირსეული მამულიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა.

გამოფენა მუზეუმში იანვრის მიწურულამდე გასტანს.

**ნინო ალექსანდრია**

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**

## ვარსკვლავი – რეზო ჭანიშვილს!

**ტარიელ დოლიძე, დარეჯან (ია) ჭანიშვილი შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად, და ჭანიშვილთა მთელი საგვარეულო გილოცავთ კაშკაშა ვარსკვლავის ამობრწყინებას.**

**გისურვებთ, შენებური შემართებით ამაყად გევლოს ამ ქვეყანაზე.**

**გისურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, ვამაყობთ შენით.**



◉ ინფორმაცია

## ვენაში ქართული საღამო გაიმართა

**ღონისძიებას 120 ადამიანი ესწრებოდა მათი უმრავლესობა ავსტრიელი იყო. საღამოს მთავარი მიზანი ავსტრიაში ქართული კულტურისა და საქართველოს ცნობადობის ამაღლება იყო.**

**ღონისძიების პირველ ნაწილში დამსწრე საზოგადოებას საქართველოს შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს. აჩვენეს ფოტო და ვიდეომასალა. ყურადღება გამახვილდა საქართველოს ტურისტულ პოტენციალზე. ღონისძიების მეორე ნაწილში კი ქართული კერძებისა და სასმელის დეგუსტაცია გაიმართა. სტუმრებს საშუალება მიეცათ, ქართული ტრადიციული კერძები დაეგემოვნებინათ.**

**ღონისძიების მესამე, დასკვნით ნაწილში ავსტრიაში მოღვაწე ქართველი ჯაზ-მომღერლის თეონა მოსიას კონცერტი გაიმართა. მომღერალმა თავისი რეპერტუარიდან 7 სიმღერა შეასრულა.**

**ქართული საღამო ავსტრიის ქართველ სტუდენტთა ასოციაციისა და ავსტრიაში საქართველოს ახალგაზრდა ელჩის მიერ იყო ორგანიზებული. თანაორგანიზატორი – „ქართული სათვისტომო ავსტრიაში“ (GVE). ღონისძიება ავსტრიაში საქართველოს საელჩოს დაფინანსებით შედგა.**

პაციენტთა საყურადღებოდ!

ეს არ არის **რეკლამა!** სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ **ინფორმაციაა...**

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13 ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

რეკლამა მაჩაბლის ქ. №7.
2 93-37-87.

◉ კადრი



◉ ცინცხალი ანეკდოტები

**სიგარეტის მწარმოებელი ორი ტიპი შეხვდა ერთმანეთს:**

**— რატომ ჯობია თქვენი სიგარეტი ჩვენსას? როგორ ამზადებთ მას?**

**— ძალიან უბრალოდ. ვიღებთ ნეხვით სავსე კასრს. ვუმატებთ ერთ მწიკვ თამბაქოს.**

**— აჰა! თქვენ თამბაქოსაც უმატებთ?**

* * *

**ავტოინსპექტორი ტრასაზე მანქანას აჩერებს.**

**— რატომ მოძრაობდით 60 კილომეტრი სიჩქარით, როცა საგზაო ნიშნით საათში 40 კილომეტრი სიჩქარით მოძრაობის ნებაღა გაქვთ?**



**— მე 40 კილომეტრით მივდიოდი.**

**— არა, თქვენ 60 კილომეტრით მოძრაობდით.**

**კამათში მძღოლის ცოლი ჩაერია: — ამხანაგო მილიციელო, როცა ჩემი ქმარი ნასვამია, მასთან კამათს აზრი არა აქვს.**

* * *

**შვილი დედას ქილის გახსნაში დაეხმარა და სიამაყით უთხრა:**

**— აი, ხომ ხედავ, რას გააკეთებდი უჩემოდ?**

**— კარიერას.**

* * *

**— ძვირფასო, რას მაჩუქებ საახალწლოდ? — ეკითხება ქმარი ცოლს.**

**— ჩემს თავს.**

**— რა თქმა უნდა, ახლა ხომ მაიმუნის წელი მოდის!**

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
(ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
ზურაბ ბოზიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე